27/02/2026

MES 9 26 0000238166

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა – Zoom-ის გამოყენებით **2026 წლის 18 თებერვალს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=84212385614
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს(შემდგომში-საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს თავმჯდომარე);
ხათუნა ჩხარტიშვილი – სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
ნათია ბუთხუზი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი (საბჭოს მდივანი);
გიორგი ვეკუა – სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);
დავით ჯინჭარაძე – სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი (საბჭოს წევრი);
ეკატერინე გიგაშვილი – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
გოჩა გოგიტიძე – სსიპ – სასწავლოს უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი (საბჭოს წევრი);
გოგიტა მშვენიერაძე – ა(ა)იპ – სამშენებლო კოლეჯ „კონტრუქტ2“-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი (საბჭოს წევრი).

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში –ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ჭუჭულაშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ლელა კიკნაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ლონდა მინდიაშვილი – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნათია მჭედლიძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
სოფიკო ბექირაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო ხელაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაია აბდალაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მარიამ ჩოხელი – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:
ქეთევან ბოტკოველი
ალინა კუპრავა
ზაზა პაპიძე
ირმა ღარიბაშვილი
აკაკი გურგენიძე
ნინო თამაზაშვილი
თამარ ძველაია
ნათია მაწკეპლაძე
მაია ხურცილავა
ნანა ვერულაშვილი
ხათუნა მაისაია
დემიდ ფასიეშვილი

დაწესებულებების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადი“
დირექტორი – ანა დათუაშვილი
ხარისხის მართვის მენეჯერი – ლელა სამხარაძე
იურისტი – ნათია გოგინაშვილი

სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პროფესორი – მაკა ბერიძე
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი – ნუნუ ჭაღიაშვილი

საბჭოს სხდომის დაწყების დრო – 12:10 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განაცხადა, რომ სხდომის ოქმის პროექტის

მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ კოლეჯის „განთიადში“ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხის განხილვა;
2. (ა)იპ კოლეჯ „განთიადისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სამშენებლო სამღებრო სამუშაოები“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სანტექნიკური სამუშაოების შესრულება“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ხის მხატვრული დამუშავება“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
7. ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
8. სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს არ ჰქონდა შუამდგომლობა.

პირველი საკითხი: ა(ა)იპ კოლეჯის „განთიადში“ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ქეთევან ბოტკოველი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 25 დეკემბრის № MES0250001837955 ბრძანების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის მიზნით, ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის დ.ა) და დ.ბ) ქვეკომპონენტების, აგრეთვე „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ე.ა) და ე.ბ) ქვეკომპონენტების შესრულების შემოწმება (ქ. გორი, ბესიკის ქ. N2 და გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხიდისთავი) 2026 წლის 20 იანვარს. ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, ასევე განხორციელდა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის და დაწესებულების ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლა და შეფასება.
შეფასების პროცესი წარიმართა თანამშრომლობის და კეთილგანწყობის გარემოში – დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტთა საქმიანობას და უზრუნველყო შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენა. დასკვნით ეტაპზე, ვიზიტის შედეგების პრეზენტაციისას, ექსპერტებმა წარმოადგინეს დოკუმენტური ანალიზისა და გასაუბრებების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები, რომლებზეც, დაწესებულების წარმომადგენლებს, მიეწოდათ ინფორმაცია ვიზიტის დასრულებისას.

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება
IV და V სტანდარტებთან მიმართებით ხარვეზები არ დაფიქსირებულა

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება
დაწესებულებას მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - დირექტორის 2026 წლის 23 იანვრის N 1-07 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან (5.1.2 ქვესტანდარტი) შესაბამისობის გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში (არაუგვიანეს 24 აპრილი 2026 წელი) უზრუნველყოს შენობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დადებითი დასკვნის წარმოდგენა.

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

IV და V სტანდარტებთან მიმართებით, განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ კოლეჯის ორგანიზაციული სტრუქტურა სრულად უზრუნველყოფს დასახული სტრატეგიული მიზნების მიღწევას. დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და თანამშრომელთა ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული 2021 წლის №28 ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო აღწერილობების დოკუმენტით. აღნიშნული აქტი დეტალურად არეგულირებს ანგარიშვალდებულების ჯაჭვს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და კონკრეტულ ფუნქცია-მოვალეობებს. ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა ინფრასტრუქტურის გაფართოებაზე, კერძოდ, სოფელ ხიდისთავში ახალი სახელოსნოების ამოქმედებაზე, რამაც გამოიწვია ადეკვატური საკადრო ცვლილებები. სასწავლო პროცესისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დაემატა კოორდინატორის, დამლაგებლებისა და დარაჯების შტატები, რაც ექსპერტის შეფასებით, სრულად შეესაბამება დაწესებულების ფუნქციურ საჭიროებებს.
პერსონალის მართვის პოლიტიკის განხილვისას ხაზი გაესვა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამჭვირვალობას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები სრულად გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და ეფუძნება ხარისხის უწყვეტი განვითარების ციკლს. ადამიანური რესურსების მართვის პროცესები თანმიმდევრულია და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, რაც დასტურდება როგორც დოკუმენტური შესწავლით, ისე თანამშრომლებთან გასაუბრების შედეგებით. პერსონალის შერჩევა ხორციელდება ობიექტურობისა და საჯაროობის პრინციპების დაცვით, ხოლო ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია სახელმწიფო დასაქმების პლატფორმებსა და კოლეჯის ოფიციალურ არხებზე. მნიშვნელოვანია, რომ ყველა დასაქმებული პირის კვალიფიკაცია დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტაციით და მათ მიმართ დაცულია კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ეთიკური თუ სამართლებრივი მოთხოვნა.
ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ კოლეჯში სისტემატურად ტარდება თანამშრომელთა საქმიანობის შეფასება და საჭიროებათა კვლევა, რის საფუძველზეც იგეგმება პროფესიული განვითარების აქტივობები, ტრენინგები და სემინარები. დაწესებულება აქტიურად უწყობს ხელს პროფესიული მასწავლებლების კარიერულ წინსვლას და ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციას სპეციალური ადაპტაციის მექანიზმების გამოყენებით. გარდა ამისა, მოქმედებს პერსონალის წახალისების სისტემა, რომელიც ითვალისწინებს როგორც მატერიალურ, ისე მორალურ სტიმულირებას განსაკუთრებული მიღწევებისა და ინოვაციური ინიციატივებისათვის.
ექსპერტის განცხადებით, კოლეჯი „განთიადი“ ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების ყველა ინდიკატორის მიხედვით აკმაყოფილებს დადგენილ სტანდარტებს. წარმოდგენილი მტკიცებულებები, მათ შორის შინაგანაწესი, სამუშაო აღწერილობები და პირადი საქმეები, ადასტურებს, რომ დაწესებულებაში ჩამოყალიბებულია გუნდური მუშაობისა და მონაწილეობითი მართვის ჯანსაღი ორგანიზაციული კულტურა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით, განხილული საკითხი შეფასდა დადებითად და მიჩნეულ იქნა ავტორიზაციის სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში.
ექსპერტის თქმით, დოკუმენტური შესწავლით დადასტურდა, რომ კოლეჯი მართლზომიერად ფლობს უძრავ ქონებას 2032 წლის ბოლომდე, რაც საგანმანათლებლო პროცესის გრძელვადიან სტაბილურობასა და ავტორიზაციის პირობების შესრულებას უზრუნველყოფს.
მატერიალური რესურსებისა და ინფრასტრუქტურის ანალიზმა აჩვენა, რომ სასწავლო სივრცეები მოწყობილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. სახელოსნოები აღჭურვილია ცენტრალური გათბობის სისტემით, სათანადო განათებითა და პროგრამების სპეციფიკის შესაბამისი ინვენტარით. ექსპერტებმა ხაზგასმით აღნიშნეს გარემოს ადაპტირებულობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთათვის, რაც გამოიხატება მოწყობილი პანდუსებითა და ადაპტირებული სანიტარული კვანძებით.

დაწესებულებაში მოქმედებს ჰიგიენური ნორმების დაცვისა და ნარჩენების მართვის მკაფიო რეგულაციები, ხოლო სასწავლო პროცესისთვის საჭირო მასალებით მომარაგება ხორციელდება შესყიდვების მენეჯერის მიერ შემუშავებული ეფექტიანი მექანიზმით.
უსაფრთხოების კომპონენტთან მიმართებით ექსპერტთა აღნიშნა, რომ შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და ვარგისია ექსპლუატაციისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ადგილზე დამონტაჟებულია სახანძრო უსაფრთხოების ძირითადი საშუალებები და საევაკუაციო გეგმები, ჰიდრანტის მოწყობის პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარე სტადიაშია. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, 5.1.2 ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი. კოლეჯს მიეცა კონკრეტული რეკომენდაცია, რათა 2026 წლის 24 აპრილამდე უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოების შესახებ ოფიციალური დადებითი დასკვნის მოპოვება და წარმოდგენა. ამასთან, დაწესებულებაში სრულფასოვნად ფუნქციონირებს შრომის უსაფრთხოების სისტემა და პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, რაც დასტურდება პერსონალის გადამზადებითა და შესაბამისი ინვენტარის არსებობით.
საინფორმაციო რესურსების მართვის კუთხით კოლეჯი აჩვენებს მაღალ ტექნოლოგიურ მზაობას, რაც სამი კომპიუტერული ლაბორატორიითა და გამართული IT ინფრასტრუქტურითაა განპირობებული. დაწესებულებაში მოქმედებს IT რისკების მართვისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა, რომელიც სრულ შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული სისტემა „eflow“-ს მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტბრუნვის გამჭვირვალობასა და ოპერატიულობას. ექსპერტებმა ასევე აღნიშინა პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მონაცემთა დროული და სრულყოფილი ასახვა.
საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის სფეროში კოლეჯი აქტიურად იყენებს ოფიციალურ ვებგვერდსა, რომელიც არის ქართულ და ინგლისურენოვანი და სოციალურ მედიას, სადაც განთავსებულია პროგრამების განახლებული კატალოგი და ინფორმაცია შეთავაზებული სერვისების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, კოლეჯი სისტემურად აანალიზებს სხვადასხვა არხებით მიღებულ უკუკავშირს და იყენებს მას სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ბიბლიოთეკა, რომელიც უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული რესურსებით, სრულად ემსახურება სტუდენტთა და პერსონალის საინფორმაციო საჭიროებებს.
დაწესებულება სრულად დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიციას. წარმოდგენილი წერილის მიხედვით ირკვევა, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისგან დადებითი დასკვნის მოპოვება, რომელიც კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 23 იანვრის №1-07 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან (ქვესტანდარტი 5.1.2) შესაბამისობის გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულია არაუგვიანეს 2026 წლის 24 აპრილისა, კვლავ ძალაშია, თუმცა კოლეჯი აღნიშნავს, რომ მიმდინარე ეტაპზე გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავში მდებარე შენობაში დასრულებულია სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟი და დაწესებულება ელოდება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წარმომადგენლების ვიზიტს. რამდენადაც, დადებითი დასკვნა ჯერ არ არის წარმოდგენილი, ქვესტანდარტის შეფასება ამ ეტაპზე უცვლელად რჩება.

საბჭოს თავმჯდომარე, ელენე კაკაბაძე, დაინტერესდა შესაბამისობის რეკომენდაციების შესრულების მიმდინარე სტატუსით. მან ხაზი გაუსვა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მითითებულია 24 აპრილი და იკითხა, ხომ არ არის ამ მიმართულებით წინსვლა ან უკვე მიღებული დადებითი დასკვნა სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ანა დათუაშვილმა განმარტა, რომ სახანძრო უსაფრთხოების კუთხით გაცემული რეკომენდაციები სრულად არის შესრულებული. მან აღნიშნა, რომ წყლის ჰიდრანტების სამონტაჟო სამუშაოები დასრულებულია, რის შესახებაც

უკვე გაეგზავნა ოფიციალური შეტყობინება შესაბამის სტრუქტურას. ანა დათუაშვილის განცხადებით, მომდევნო კვირაში იგეგმება უფლებამოსილი პირების ვიზიტი ადგილზე, ხოლო საბოლოო დადებით დასკვნას დაწესებულება დაახლოებით ორ კვირაში ელოდება, რაც მნიშვნელოვნად უსწრებს დადგენილ მაქსიმალურ ვადას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ კოლეჯის „განთიადში“ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საბჭომ გადაწყვიტა დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ კოლეჯ განთიადში (ს/კ: 217890192) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადში“ 5.1.2 კომპონენტში (შენობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დადებითი დასკვნის წარმოდგენა). მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ვიზიტის გარეშე, ცენტრში დოკუმენტაციის წარმოდგენა. მონიტორინგის ვადად განისაზღვროს 2026 წლის 27 აპრილი.

საბჭოს წევრი ხათუნა ჩხარტიშვილი შემოუერთდა სხდომას.

მეორე საკითხი: (ა)იპ კოლეჯ „განთიადისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა

დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქეთევან ბოტკოველმა, საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 25 დეკემბრის MES 9250001837954 ბრძანების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ მიერ „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ვიზიტის განხორციელება ა(ა)იპ კოლეჯში „განთიადი“ 2026 წლის 22 იანვარს (ქ. გორი, ბესიკის ქ. N2და გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხიდისთავი). ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, ასევე განხორციელდა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის და დაწესებულების ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლა და შეფასება. შეფასების პროცესი წარიმართა თანამშრომლობის და კეთილგანწყობის გარემოში – დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტთა საქმიანობას და უზრუნველყო შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენა. დასკვნით ეტაპზე, ვიზიტის შედეგების პრეზენტაციისას, ექსპერტებმა წარმოადგინეს დოკუმენტური ანალიზისა და გასაუბრებების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები, რომლებზეც, დაწესებულების წარმომადგენლებს, მიეწოდათ ინფორმაცია ვიზიტის დასრულებისას.

ხარვეზები არ დაფიქსირებულა და განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა.

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 2.2.1.1. – ვიზიტის პერიოდში დადგინდა, რომ კოლეჯს არ ჰქონდა შეძენილი „ქვიშა-ცემენტის მოჭიმული იატაკისა და ბეტონის სიმტკიცის საზომი ხელსაწყო“, რომელიც პროგრამით არის მოთხოვნილი. შესაბამისად დაწესებულებამ წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (ბრძანება N1-07, 23/01/2026), სადაც განსაზღვრულია, რომ დაწესებულება შეიძენს „ქვიშა-ცემენტის მოჭიმული იატაკისა და ბეტონის სიმტკიცის საზომი ხელსაწყოს“. შესყიდვის პროცესის ვადად განისაზღვრა 6 თვე. პროცესის დასრულების ვადად დადგინდა 2026 წლის 24 ივლისი. დაფინანსების წყაროდ განისაზღვრა ვაუჩერული დაფინანსება. დაწესებულებას აღნიშნული სტანდარტი შეფასებული აქვს – „შესაბამისად“. ექსპერტთა მხრიდან სტანდარტი შეფასდა – „მეტწილად შესაბამისად“. საკითხთან დაკავშირებით ექსპერტთა მხრიდან გაიწერა რეკომენდაცია: მიზანშეწონილია დაწესებულებამ დაიცვას „ქვიშა-ცემენტის მოჭიმული იატაკისა და ბეტონის სიმტკიცის საზომი ხელსაწყო“ შესყიდვის ვადები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ წარმოადგენს მესამე დონის პროფესიულ განათლებას, რომლის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში. სწავლის დეტალური სფეროს კოდია 0732, ხოლო პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 24 ოქტომბრის №89 ბრძანებით. სწავლება ხორციელდება ქართულ ენაზე ორ ლოკაციაზე: თეორიული კომპონენტი ქალაქ გორში, ბესიკის ქუჩა №2-ში, ხოლო პრაქტიკული ნაწილი გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავში მდებარე სახელოსნოში. პროგრამა ითვალისწინებს სწავლებას იმიტირებულ სამუშაო გარემოში და მასზე მოთხოვნილია სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 72 ადგილის ოდენობით. კრედიტების მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 81-ს, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის განსაზღვრულია 96 კრედიტი, რაც მოიცავს ქართული ენის დამატებით მოდულს.

პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების სტანდარტთან მიმართებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ კოლეჯის გადაწყვეტილება სრულად შეესაბამება მის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას. შრომის ბაზრის ანალიზი ადასტურებს, რომ სამშენებლო სექტორი საქართველოში მზარდია და არსებობს მაღალი მოთხოვნა კვალიფიციურ კადრებზე, რომლებიც ფლობენ ზედაპირების ფილებით მოპირკეთების, თბო და ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოების შესრულების უნარებს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია საბაზო ზოგადი განათლება, რაც კანონმდებლობასთან თანხვედრაშია. ექსპერტთა ჯგუფი სრულად დაეთანხმა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთებას, რადგან ინფრასტრუქტურული რესურსი და სასწავლო სივრცეების გამტარიანობა იძლევა 72 სტუდენტის ერთდროულად ხარისხიანი სწავლების შესაძლებლობას. პროგრამის სახელწოდება და შინაარსი ლოგიკურ კავშირშია ერთმანეთთან და მოიცავს ყველა საჭირო მოდულს, მათ შორის სამშენებლო ნახაზების კითხვას, ფილის დამუშავებასა და შრომის უსაფრთხოებას.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსების შეფასებისას გამოიკვეთა ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რის გამოც ინდიკატორი 2.2.1.1 შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“. კერძოდ, ვიზიტის პერიოდში დადგინდა, რომ კოლეჯს ჯერ არ ჰქონდა შეძენილი პროგრამით მოთხოვნილი „ქვიშა-ცემენტისა მოჭიმული იატაკისა და ბეტონის სიმტკიცის საზომი ხელსაწყო“. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული რესურსის შესყიდვა განხორციელდება არაუგვიანეს 2026 წლის 24 ივლისისა. ექსპერტთა ჯგუფმა გასცა შესაბამისი რეკომენდაცია ამ ვადის დაცვასთან დაკავშირებით. რაც შეეხება ადამიანურ რესურსს, პროგრამას ჰყავს 15 მასწავლებელი, მათგან 5 უშუალოდ პროფესიული მიმართულების სპეციალისტია. მასწავლებელთა დატვირთვა ოპტიმალურია, ხოლო მათი კვალიფიკაცია დადასტურებულია შესაბამისი დიპლომებითა და სერტიფიკატებით. პროგრამის ფინანსური მდგრადობა გარანტირებულია საპროგნოზო ბიუჯეტით, სადაც რენტაბელობის ზღვრად განსაზღვრულია ჯგუფში 8 სტუდენტის არსებობა.

სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და შეფასების სისტემის ნაწილში ექსპერტმა ხაზი გაუსვა სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებას, როგორიცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება და სიტუაციური ანალიზი. კოლეჯს აქვს მზაობა, უზრუნველყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის. უსაფრთხოების ზომები ხიდისთავის სახელოსნოში სრულად არის დაცული, მათ შორის დამონტაჟებულია სახანძრო უსაფრთხოების ინვენტარი და ვიდეოთვალთვალის სისტემა. შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობისა და სანდოობის პრინციპებს, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ითვალისწინებს შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციას.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება სრულად დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიციას. წერილით დგინდება, რომ ქვიშა-ცემენტის მოჭიმული იატაკისა და

ბეტონის სიმტკიცის საზომი ხელსაწყოს შეძენის პროცედურა, რომლის შესყიდვაც დაწესებულებას შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქვს 2026 წლის 24 ივლისამდე, დაწყებულია. მიმდინარე ეტაპზე დასრულებულია ბაზრის კვლევა, გამოვლენილია მომწოდებელი და გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. კოლეჯის ინფორმაციით, შესყიდვის პროცესი მიმდინარეობს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადების ფარგლებში. აღნიშნულ ეტაპზე ხელსაწყო ჯერ არ არის შეძენილი, შესაბამისად, რეკომენდაცია ძალაში რჩება და ინდიკატორის შეფასება უცვლელია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს მდივანმა, ნათია ბუთხუზმა, დასვა დამაზუსტებელი კითხვა პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის ორგანიზებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ინტერესი გამოიწვია იმ გარემოებამ, თუ რამდენად უზრუნველყოფს არსებული ინფრასტრუქტურა პრაქტიკული ნაწილის სრულყოფილად შესრულებას. ავტორიზაციის ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განმარტა, რომ პრაქტიკული კომპონენტისთვის განკუთვნილი სახელოსნო კოლეჯიდან დაშორებულია 15 წუთის სავალზე, რისთვისაც დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტთა ტრანსპორტირებას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეული პროგრამისთვის გამოყოფილია იზოლირებული და შესაბამისი ფართის მქონე სახელოსნოები. პრაქტიკული მოდულები განხორციელდება უშუალოდ სახელოსნოში (C გარემო), რომელიც ასევე აღჭურვილია თეორიული სწავლებისათვის საჭირო ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით, ხოლო ზოგადი თეორიული ნაწილი ჩატარდება კოლეჯის ბაზაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, ყურადღება გაამახვილა მატერიალური რესურსის შესაბამისობის საკითხზე. კერძოდ, აღინიშნა, რომ თვითშეფასების ეტაპზე დაწესებულებას არ გააჩნდა ქვიშა-ცემენტის მოჭიმული იატაკისა და ბეტონის სიმტკიცის საზომი ხელსაწყო. თავმჯდომარემ დასვა კითხვა, თუ რამდენად კრიტიკულია აღნიშნული რესურსი სწავლის დაწყების ეტაპზე და იყო თუ არა მიზანშეწონილი პროგრამის დამატება მისი ფიზიკური არსებობის გარეშე. დარგის ექსპერტმა, ირმა ღარიბაშვილმა, განმარტა, რომ დაწესებულება მუშაობდა ხელსაწყოს შეძენაზე და წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა. ექსპერტის განცხადებით, პროგრამის სტრუქტურა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სწავლის საწყის ეტაპზე (პირველი 6 თვე) აღნიშნული ხელსაწყოს არქონამ სასწავლო პროცესი არ შეაფერხოს.

კოლეჯის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ შეფერხება გამოიწვია 2025 წლის დეკემბერში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობაში შესულმა ცვლილებებმა, რამაც ტენდერის პროცედურები გაართულა. მათივე განცხადებით, ამჟამად ხელშეკრულებები უკვე გაფორმებულია მომწოდებლებთან და ინვენტარის მოწოდება მომდევნო კვირაში იგეგმება. საბჭოს თავმჯდომარემ დააფიქსირა პოზიცია, რომ მსგავსი პრეცედენტები, როდესაც პროგრამის დამატება ხდება არასრული რესურსის პირობებში, რისკის შემცველია და მიუთითებს ფორმალურ თვითშეფასებაზე. საბჭოს წევრმა, გოჩა გოგიტიძემ, დააზუსტა დაწესებულების ფინანსური მზაობა ძვირადღირებული აპარატურის შესაძენად, რაზეც ექსპერტებისგან მიიღო დადასტურება, რომ კოლეჯს გააჩნია შესაბამისი ფინანსური სახსრები და წარმოდგენილი აქვს არგუმენტირებული პოზიცია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა (ა)იპ კოლეჯ „განთიადისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა: ა(ა)იპ კოლეჯ განთიადს (ს/კ: 217890192) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ **(დანართი 1).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 18 თებერვალი.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადში“ 2.2.1.1 ინდიკატორთან დაკავშირებით. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი. მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 27 ივლისი.

მესამე საკითხი: ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სამშენებლო სამღებრო სამუშაოები“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქეთევან ბოტკოველმა, საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 25 დეკემბრის MES 6250001837951 ბრძანების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ მიერ – „სამშენებლო სამღებრო სამუშაოები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ვიზიტის განხორციელება ა(ა)იპ კოლეჯში "განთიადი" 2026 წლის 23 იანვარს (ქ. გორი, ბესიკის ქ. N2და გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხიდისთავი). ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, ასევე განხორციელდა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის და დაწესებულების ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლა და შეფასება. შეფასების პროცესი წარიმართა თანამშრომლობის და კეთილგანწყობის გარემოში – დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტთა საქმიანობას და უზრუნველყო შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენა. დასკვნით ეტაპზე, ვიზიტის შედეგების პრეზენტაციისას, ექსპერტებმა წარმოადგინეს დოკუმენტური ანალიზისა და გასაუბრებების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები, რომლებზეც, დაწესებულების წარმომადგენლებს, მიეწოდათ ინფორმაცია ვიზიტის დასრულებისას.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ხარვეზები არ დაფიქსირებულა; სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა; განმავითარებელი რეკომენდაციებიც არ გაცემულა. არგუმენტირებული პოზიციით, დაწესებულება სრულად დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიციას.
პროგრამა შეესაბამება პროფესიული განათლების მეოთხე დონეს და კურსდამთავრებულს ენიჭება საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სამშენებლო სამღებრო სამუშაოებში. პროგრამა, რომელიც 2025 წლის 24 ოქტომბრის №89 ბრძანებით არის დამტკიცებული, ხორციელდება ქართულ ენაზე ორ მისამართზე: თეორიული სწავლება ქალაქ გორში, ხოლო პრაქტიკული კომპონენტი – სოფელ ხიდისთავში მდებარე სახელოსნოში, იმიტირებულ სამუშაო გარემოში. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 36 ადგილით, ხოლო კრედიტების მოცულობა მერყეობს 85-დან (ქართულენოვანი სტუდენტებისთვის) 115 კრედიტამდე (არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის), რაც მოიცავს ქართული ენის დამატებით მოდულებს.
საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების ეტაპზე ექსპერტმა ხაზი გაუსვა მის შესაბამისობას კოლეჯის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. პროგრამის ინიცირება ეფუძნება შრომის ბაზრის დეტალურ კვლევას, რომლის მიხედვითაც სამშენებლო სექტორი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მზარდი სფეროა და არსებობს მწვავე დეფიციტი კვალიფიციური მღებავების, განსაკუთრებით კი დეკორატიული დანაფარებისა და მხატვრული მობათქაშების სპეციალისტების მიმართულებით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მზაობას, დადგენილ ვადებში მიაღწიონ სწავლის შედეგებს. ექსპერტთა ჯგუფი სრულად დაეთანხმა

36-კაციან ზღვრულ ოდენობას, რადგან დაწესებულების ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა, რომ თითოეულ ჯგუფში 12 სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება ეფექტიანად წარიმართოს.

პროგრამის შინაარსობრივი მხარე სრულად პასუხობს მის სახელწოდებას და მოიცავს ისეთ სპეციფიკურ მოდულებს, როგორიცაა სამუშაო ობიექტის ტექნოლოგიური შეფასება, დეკორატიული ელემენტების შექმნა, ინტერიერში შპალერის გაკვრა, ასევე თერმო და ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები. მოდულების სტრუქტურა ლოგიკურადაა აგებული და ფარავს სამღებრო საქმიანობის ყველა ძირითად კომპონენტს, დაწყებული ნახაზების კითხვიდან, დასრულებული საწარმოო და სამოქალაქო იატაკების დამუშავებითა და მუშათა რგოლის ზედამხედველობით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამა სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და უზრუნველყოფს სტუდენტთა პროფესიულ მზაობას რეალური სამუშაო გარემოსთვის.

რესურსების შეფასებისას ქეთევან ბოტკოველმა ყურადღება გაამახვილა მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე, რომელიც სრულად არის აღჭურვილი თეორიული და პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა და შესაბამისი მასალა-ნედლეულით. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 12 მაღალკვალიფიციური მასწავლებელი, საიდანაც 2 უშუალოდ პროფესიული მოდულების სპეციალისტია. მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ მოდულს ჰყავს ორი განმახორციელებელი, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მდგრადობასა და უწყვეტობას. მასწავლებლებს გავლილი აქვთ პროფესიული განვითარების კურსები და ფლობენ თანამედროვე პედაგოგიურ კომპეტენციებს. ასევე, პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რაც დასტურდება წარმოდგენილი ბიუჯეტით, სადაც რენტაბელობის ზღვარი 8 სტუდენტით არის განსაზღვრული.
სასწავლო პროცესისა და შეფასების სისტემის ანალიზმა აჩვენა, რომ კოლეჯი იყენებს სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომებს, მათ შორის პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებასა და სიტუაციურ ანალიზს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უსაფრთხო სასწავლო გარემოს, რაც დასტურდება ხიდისთავის სახელოსნოში არსებული შრომის უსაფრთხოების მექანიზმებითა და შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნებით. შეფასების სისტემა არის ვალიდური და გამჭვირვალე, მოიცავს შიდა ვერიფიკაციის მექანიზმს და უზრუნველყოფს მტკიცებულებების სათანადო შენახვას 3 წლის ვადით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სამშენებლო სამღებრო სამუშაოები“ დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა ა(ა)იპ კოლეჯ განთიადს (ს/კ: 217890192) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "სამშენებლო სამღებრო სამუშაოები" **(დანართი 2).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 18 თებერვალი.

მეოთხე საკითხი: ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სანტექნიკური სამუშაოების შესრულება“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქეთევან ბოტკოველმა, საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 23 დეკემბრის MES 4250001825213 ბრძანების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ მიერ – სანტექნიკური სამუშაოების შესრულება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ვიზიტის განხორციელება ა(ა)იპ კოლეჯში „განთიადი“ 2026 წლის 23 იანვარს (ქ. გორი, ბესიკის ქ. N2და გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხიდისთავი). ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ

შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, ასევე განხორციელდა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის და დაწესებულების ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლა და შეფასება. შეფასების პროცესი წარიმართა თანამშრომლობის და კეთილგანწყობის გარემოში – დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტთა საქმიანობას და უზრუნველყო შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენა. დასკვნით ეტაპზე, ვიზიტის შედეგების პრეზენტაციისას, ექსპერტებმა წარმოადგინეს დოკუმენტური ანალიზისა და გასაუბრებების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები, რომლებზეც, დაწესებულების წარმომადგენლებს, მიეწოდათ ინფორმაცია ვიზიტის დასრულებისას.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ხარვეზები არ დაფიქსირებულა; სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა; განმავითარებელი რეკომენდაციებიც არ გაცემულა. არგუმენტირებული პოზიციით, დაწესებულება სრულად დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიციას.

პროგრამა „სანტექნიკური სამუშაოების შესრულება“ შეესაბამება პროფესიული განათლების მეოთხე დონეს და კურსდამთავრებულს ანიჭებს საბაზო პროფესიულ კვალიფიკაციას სანტექნიკური სამუშაოების შესრულებაში. პროგრამა, რომელიც დამტკიცებულია 2025 წლის 24 ოქტომბრის №89 ბრძანებით, ხორციელდება ქართულ ენაზე ორ ძირითად მისამართზე: ქალაქ გორში (ბესიკის ქუჩა №2) და გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავში. სწავლება მიმდინარეობს იმიტირებულ სამუშაო გარემოში, სადაც კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის განსაზღვრულია 67-ით, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, ქართული ენის შემავსებელი მოდულის გათვალისწინებით, შეადგენს 82 კრედიტს. ექსპერტთა ჯგუფი სრულად დაეთანხმა დაწესებულების მიერ მოთხოვნილ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, რომელიც 72 ადგილს შეადგენს.
საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების ეტაპზე ექსპერტმა ხაზგასმით აღნიშნა მისი შესაბამისობა კოლეჯის მისიასა და სტრატეგიულ მიზნებთან. გადაწყვეტილება პროგრამის დანერგვის შესახებ ეფუძნება შრომის ბაზრის სიღრმისეულ ანალიზს, რომელიც ადასტურებს, რომ სამშენებლო სექტორში სანტექნიკური სამუშაოების შემსრულებლების მიმართ მზარდი მოთხოვნაა როგორც ინფრასტრუქტურულ, ისე კერძო პროექტებში. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ ჩარიცხულ პირებს ჰქონდეთ სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ბაზისი. პროგრამის სტრუქტურა ლოგიკურადაა აგებული და ფარავს ისეთ კრიტიკულ მოდულებს, როგორიცაა შრომის უსაფრთხოება, სამშენებლო ნახაზების კითხვა, საზეინკლო სამუშაოები, ასევე ეზოსა და შენობის შიდა წყალმომარაგება-წყალარინების სისტემების მოწყობა.

რესურსების უზრუნველყოფის ნაწილში ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე, რომელიც სრულად პასუხობს პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებს. თეორიული და კომპიუტერული სწავლებისთვის გამოყოფილია A და B ტიპის გარემოები გორში, ხოლო პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის მოწყობილია C ტიპის სახელოსნო ხიდისთავში. პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს 16 კვალიფიციური პროფესიული მასწავლებელი, რომელთაგან 4 უშუალოდ დარგობრივ მოდულებზეა პასუხისმგებელი. მასწავლებლებს გავლილი აქვთ შესაბამისი გადამზადების კურსები უნარების განვითარების სააგენტოსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. ფინანსური თვალსაზრისით, პროგრამა რენტაბელურია, რადგან საპროგნოზო

ბიუჯეტით განსაზღვრული სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა ჯგუფში 7 პირს შეადგენს, რაც სრულად ფარავს ოპერატიულ ხარჯებს.

სასწავლო პროცესის ორგანიზება სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომებით ხორციელდება, რაც მოიცავს სწავლების თანამედროვე მეთოდებს, როგორიცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება და სიტუაციური ანალიზი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უსაფრთხოებას: სახელოსნო აღჭურვილია სახანძრო უსაფრთხოების ინვენტარით, ვიდეოთვალთვალის სისტემით და პირველადი დახმარების საშუალებებით. სტუდენტებს თითოეული პრაქტიკული დავალების წინ უტარდებათ დეტალური ინსტრუქტაჟი. პროგრამა ასევე ითვალისწინებს სპეციალურ მხარდაჭერას სსსმ და შშმ პირებისთვის, მათ შორის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების შესაძლებლობასა და ადაპტირებული გარემოს ხელმისაწვდომობას.
შეფასების სისტემის ანალიზისას ექსპერტმა დაადასტურა მისი ვალიდურობა და გამჭვირვალობა. კოლეჯში დანერგილია შიდა ვერიფიკაციის მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს შეფასების ინსტრუმენტების ობიექტურობას. შეფასებასთან დაკავშირებული ყველა მტკიცებულება ინახება 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები – უვადოდ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სანტექნიკური სამუშაოების შესრულება“ დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა. ა(ა)იპ კოლეჯ განთიადს (ს/კ: 217890192) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "სანტექნიკური სამუშაოების შესრულება" **(დანართი 3).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 18 თებერვალი.

მეხუთე საკითხი: ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქეთევან ბოტკოველმა, საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 23 დეკემბრის MES 3250001825212 ბრძანების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ მიერ – „შედუღება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ვიზიტის განხორციელება ა(ა)იპ კოლეჯში „განთიადი“ 2026 წლის 21 იანვარს (ქ. გორი, ბესიკის ქ. N2 და გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხიდისთავი). ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, ასევე განხორციელდა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის და დაწესებულების ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლა და შეფასება. შეფასების პროცესი წარიმართა თანამშრომლობის და კეთილგანწყობის გარემოში – დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტთა საქმიანობას და უზრუნველყო შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენა. დასკვნით ეტაპზე, ვიზიტის შედეგების პრეზენტაციისას, ექსპერტებმა წარმოადგინეს დოკუმენტური ანალიზისა და გასაუბრებების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები, რომლებზეც, დაწესებულების წარმომადგენლებს, მიეწოდათ ინფორმაცია ვიზიტის დასრულებისას.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ხარვეზები არ დაფიქსირებულა და განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა.

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 2.2.1.1. – ვიზიტის პერიოდში დადგინდა, რომ კოლეჯს არ ჰქონდა შეძენილი „ულტრაბგერითი შედუღების აპარატი“, რომელიც პროგრამით არის მოთხოვნილი. შესაბამისად დაწესებულებამ წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (ბრძანება N1-07, 23/01/2026), სადაც განსაზღვრულია, რომ დაწესებულება შეიძენს „ულტრაბგერითი შედუღების აპარატს“. შესყიდვის პროცესის ვადად განისაზღვრა 6 თვე. პროცესის დასრულების ვადად დადგინდა 2026 წლის 24 ივლისი. დაფინანსების წყაროდ განისაზღვრა ვაუჩერული დაფინანსება. დაწესებულებას აღნიშნული სტანდარტი შეფასებული აქვს – „შესაბამისად“. ექსპერტთა მხრიდან სტანდარტი შეფასდა – „მეტწილ შესაბამისად“. საკითხთან დაკავშირებით ექსპერტთა მხრიდან გაიწერა რეკომენდაცია:- კოლეჯმა უზრუნველყოს „ულტრაბგერითი შედუღების აპარატის“ შესყიდვა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შედუღება“ შეესაბამება პროფესიული განათლების მეოთხე დონეს და კურსდამთავრებულს საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციას ანიჭებს. პროგრამა, რომელიც 2025 წლის 24 ოქტომბრის №89 ბრძანებით არის დამტკიცებული, ხორციელდება ქართულ ენაზე ორ მისამართზე: თეორიული სწავლება ქალაქ გორში (ბესიკის ქ. №2), ხოლო პრაქტიკული კომპონენტი – სოფელ ხიდისთავში მდებარე სახელოსნოებში, იმიტირებულ სამუშაო გარემოში. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 36 ადგილით, რაც სრულად შეესაბამება დაწესებულების ინფრასტრუქტურულ შესაძლებლობებს.
პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების კომპონენტში ექსპერტმა ხაზი გაუსვა მის სრულ თანხვედრას კოლეჯის მისიასთან და რეგიონული განვითარების პრიორიტეტებთან. შრომის ბაზრის ანალიზი ცხადყოფს, რომ სამშენებლო სექტორში მზარდი მოთხოვნაა ისეთ კვალიფიციურ კადრებზე, რომლებიც ფლობენ შედუღების თანამედროვე ტექნოლოგიებს, მათ შორის ხელით ელექტრორკალურ, ნახევრადავტომატურ (MIG/MAG) და არგონში ვოლფრამის უდნობი ელექტროდით შედუღებას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების ეფექტიან ათვისებას. პროგრამის სტრუქტურა მოიცავს მრავალფეროვან პროფესიულ მოდულებს, რომლებიც ეტაპობრივად ფარავს შედუღების ტექნოლოგიას, მასალების მომზადებას, ტექნიკური ნახაზების შესრულებასა და ხარისხის კონტროლს. აღსანიშნავია, რომ პროგრამაში ინტეგრირებულია არჩევითი მოდულიც – ლითონების აირალური შედუღება-ჭრა და პლაზმური ჭრა.

რესურსებით უზრუნველყოფის ნაწილში ექსპერტმა აღნიშნა, რომ კოლეჯი ფლობს სათანადო მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, თუმცა გამოიკვეთა ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. მონიტორინგის პროცესში დადგინდა, რომ დაწესებულებას ჯერ არ შეუძენია პროგრამით გათვალისწინებული ულტრაბგერითი შედუღების აპარატი, რის გამოც შესაბამისი ინდიკატორი „მეტწილად შესაბამისად“ შეფასდა. ამასთან დაკავშირებით, კოლეჯმა წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული რესურსის შესყიდვა 2026 წლის 24 ივლისამდე უნდა დასრულდეს. ადამიანური რესურსების კუთხით პროგრამა მდგრადია, რადგან მის განხორციელებაში ჩართულია 19 მასწავლებელი, ხოლო მოდულებზე მასწავლებელთა ჩანაცვლებადობის სტრატეგია მინიმუმამდე ამცირებს სასწავლო პროცესის შეფერხების რისკებს. პროგრამა ასევე ფინანსურად რენტაბელურია, რადგან მისი ოპერატიული ხარჯების დაფარვისთვის ჯგუფში სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა 7 პირს შეადგენს.

სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება სტუდენტზე ორიენტირებულ და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებაზე ორიენტირებულ მიდგომებს, როგორიცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება და სიმულაციური გარემოები. სწავლება მიმდინარეობს უსაფრთხო გარემოში, სადაც დაცულია შრომის უსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთხოების ყველა

ნორმა, რაც დადასტურებულია შესაბამისი საექსპერტო დასკვნებით. კოლეჯი სრულ მზაობას გამოხატავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა მხარდასაჭერად ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა და ადაპტირებული რესურსების მეშვეობით. შეფასების სისტემა არის ვალიდური და გამჭვირვალე, მოიცავს შიდა ვერიფიკაციის მექანიზმს, რომელსაც ხარისხის მართვის მენეჯერი და დარგის სპეციალისტები უწევენ ზედამხედველობას.

ელენე კაკაბაძემ მიმართა დარგის ექსპერტს, ირმა ღარიბაშვილს, თხოვნით, განემარტა პროგრამის განხორციელების საწყის ეტაპზე კონკრეტული მატერიალური რესურსის ფლობის აუცილებლობის საკითხი. ირმა ღარიბაშვილმა განმარტა, რომ აღნიშნული რესურსი საჭიროა არჩევითი მოდულის ფარგლებში, რომელიც სასწავლო გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია სწავლების დასკვნით ეტაპზე. შესაბამისად, ექსპერტის აზრით, რესურსის ამ ეტაპზე არქონა ხელს არ შეუშლის სასწავლო პროცესის დაწყებას.
ელენე კაკაბაძემ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ დაწესებულების მხრიდან ადგილი აქვს თვითშეფასების ფორმალურ შევსებას. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კოლეჯი პროგრამას ამატებს სათანადო მომზადების გარეშე, რაც ქმნის ნეგატიურ პრეცედენტს, როდესაც პროგრამის ავტორიზაცია ხდება სამომავლო შესყიდვების იმედად. მან სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს, განემარტათ რესურსის დაგვიანებით მოძიების მიზეზები. დაწესებულების წარმომადგენელმა ლელა სამხარაძე განაცხადა, რომ შეფერხება გამოიწვია საკანონმდებლო ცვლილებებმა, რამაც გაართულა მომწოდებელი კომპანიების მხრიდან აპარატურის შემოტანა. მისი თქმით, კოლეჯი ელოდა რესურსის დროულად მიღებას, თუმცა შეიქმნა გაუთვალისწინებელი ბარიერები.
საბჭოს წევრმა ნათია ბუთხუზმა დასვა კითხვა რისკების მართვისა და ალტერნატიული გზების შესახებ იმ შემთხვევისთვის, თუ შესყიდვა ვერ განხორციელდება დათქმულ ვადებში. მან ხაზი გაუსვა, რომ დაწესებულებას წინასწარ უნდა ეზრუნა რისკების დაზღვევაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ალტერნატივების ძიება მიმდინარეობდა, თუმცა ინფორმაცია სხვა კოლეჯის მზაობის შესახებ გვიან გახდა ცნობილი. საბჭოს წევრმა, გოჩა გოგიტიძემ, დააზუსტა განაცხადის შემოტანის ვადები, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროცესი ახალ წლამდე დაიწყო და სირთულეს წარმოადგენდა ისეთი აპარატურის შერჩევა, რომელიც ფიზიკურად ხელმისაწვდომი იქნებოდა საქართველოში.

არგუმენტირებული პოზიციით, დაწესებულება სრულად დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიციას. დგინდება, რომ „ულტრაბგერითი შედუღების აპარატის“ შეძენის პროცედურა, რომლის შესყიდვაც დაწესებულებას შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქვს 2026 წლის 24 ივლისამდე, დაწყებულია. მიმდინარე ეტაპზე დასრულებულია ბაზრის კვლევა, გამოვლენილია მომწოდებელი. აღნიშნულ ეტაპზე აპარატი ჯერ არ არის შეძენილი, შესაბამისად, რეკომენდაცია ძალაში რჩება და ინდიკატორის შეფასება უცვლელია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“ დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა: ა(ა)იპ კოლეჯ განთიადს (ს/კ: 217890192) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შედუღება“ **(დანართი 4).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 18 თებერვალი.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება" ფარგლებში 2.2.1.1 ინდიკატორთან დაკავშირებით. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი. მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 27 ივლისი.

მეექვსე საკითხი: (ა)იპ კოლეჯ „განთიადისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ხის მხატვრული დამუშავება“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქეთევან ბოტკოველმა, საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 23 დეკემბრის MES 9 25 0001825209 ბრძანების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ მიერ - „ხის მხატვრული

დამუშავება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ვიზიტის განხორციელება ა(ა)იპ კოლეჯში „განთიადი“ 2026 წლის 21 იანვარს (ქ. გორი, ბესიკის ქ. N2 და გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხიდისთავი). ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, ასევე განხორციელდა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის და დაწესებულების ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლა და შეფასება. შეფასების პროცესი წარიმართა თანამშრომლობის და კეთილგანწყობის გარემოში – დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტთა საქმიანობას და უზრუნველყო შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენა. დასკვნით ეტაპზე, ვიზიტის შედეგების პრეზენტაციისას, ექსპერტებმა წარმოადგინეს დოკუმენტური ანალიზისა და გასაუბრებების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები, რომლებზეც, დაწესებულების წარმომადგენლებს, მიეწოდათ ინფორმაცია ვიზიტის დასრულებისას.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ხარვეზები არ დაფიქსირებულა; სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა; განმავითარებელი რეკომენდაციებიც არ გაცემულა. არგუმენტირებული პოზიციით, დაწესებულება სრულად დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიციას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ხის მხატვრული დამუშავება“ შეესაბამება პროფესიული განათლების მეოთხე დონეს და კურსდამთავრებულს საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციას ანიჭებს ხის მხატვრულ დამუშავებაში. პროგრამა, რომელიც 2025 წლის 24 ოქტომბრის №89 ბრძანებით არის დამტკიცებული, ხორციელდება ქართულ ენაზე ორ მისამართზე: თეორიული სწავლება ქალაქ გორში (ბესიკის ქ. №2), ხოლო პრაქტიკული კომპონენტი – სოფელ ხიდისთავში მდებარე სპეციალიზებულ სახელოსნოში, იმიტირებულ სამუშაო გარემოში. ქართულენოვანი სტუდენტებისთვის პროგრამის მოცულობა 86 კრედიტია, ხოლო არაქართულენოვანთათვის, ენობრივი მოდულების გათვალისწინებით, 116 კრედიტს შეადგენს. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 36 ადგილით განისაზღვრა, რასაც ექსპერტთა ჯგუფი სრულად ეთანხმება.
პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების ნაწილში ექსპერტმა ხაზი გაუსვა მის შესაბამისობას კოლეჯის მისიასთან, რომელიც ორიენტირებულია ტრადიციული ხელობების განვითარებასა და რეგიონული შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. ჩატარებული კვლევები ადასტურებს ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტების დეფიციტს, განსაკუთრებით ტურიზმის, მცირე მეწარმეობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიმართულებებით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, ხოლო სწავლის შედეგები და მოდულების შინაარსი სრულ თანხვედრაშია დარგობრივ სტანდარტთან. სტუდენტთა ადგილების რაოდენობა დადგენილია კოლეჯში არსებული მეთოდოლოგიით, რაც ითვალისწინებს სახელოსნოს გამტარიანობასა და ინდივიდუალურ სამუშაო ადგილებს.

საგანმანათლებლო რესურსების შეფასებისას ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ კოლეჯი სრულად არის უზრუნველყოფილი საჭირო ინფრასტრუქტურით. თეორიული სწავლებისთვის გამოიყენება თანამედროვე აუდიტორიები და კომპიუტერული ლაბორატორია, ხოლო ხიდისთავის სახელოსნო აღჭურვილია ყველა იმ მასალა-ნედლეულითა და ტექნიკით, რაც

აუცილებელია ხის მხატვრული დამუშავების პრაქტიკული დავალებების შესასრულებლად. პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს 17 კვალიფიციური მასწავლებელი, რომელთაგან თითოეულ დარგობრივ მოდულს მინიმუმ ორი განმახორციელებელი ჰყავს. პერსონალის მაღალი კომპეტენცია და მრავალწლიანი გამოცდილება ქმნის გარანტიას ხარისხიანი სწავლებისა და სტუდენტთა შემდგომი დასაქმებისათვის. ფინანსური მდგრადობის კუთხით, საპროგნოზო ბიუჯეტით რენტაბელობის ზღვარი 8 სტუდენტით არის განსაზღვრული.

სასწავლო პროცესისა და შეფასების სისტემის ანალიზი ცხადყოფს, რომ კოლეჯში დანერგილია სწავლების აქტიური მეთოდები, მათ შორის ინტერაქციული ლექციები და პრაქტიკული სიმულაციები. სწავლება მიმდინარეობს უსაფრთხო გარემოში, სადაც დაცულია შრომის უსაფრთხოების ნორმები და მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. კოლეჯი ასევე უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა მხარდაჭერას ინკლუზიური განათლების სპეციალისტისა და ჟესტური ენის თარჯიმნის მეშვეობით. შეფასების სისტემა ვალიდური და გამჭვირვალეა, მოიცავს შიდა ვერიფიკაციის მექანიზმს და უზრუნველყოფს მტკიცებულებების დაცულობას 3 წლის განმავლობაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა (ა)იპ კოლეჯ „განთიადისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ხის მხატვრული დამუშავება“ დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა: ა(ა)იპ კოლეჯ განთიადს (ს/კ: 217890192) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ხის მხატვრული დამუშავება“ **(დანართი 5).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 18 თებერვალი.

მეშვიდე საკითხი: ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქეთევან ბოტკოველმა, საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 23 დეკემბრის MES 7 25 0001825207 ბრძანების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ მიერ -"ელექტროობა" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ვიზიტის განხორციელება ა(ა)იპ კოლეჯში „განთიადი“ 2026 წლის 22 იანვარს (ქ. გორი, ბესიკის ქ. N2). ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან, პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან და კურსდამთავრებულებთან, ასევე განხორციელდა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის და დაწესებულების ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლა და შეფასება. შეფასების პროცესი წარიმართა თანამშრომლობის და კეთილგანწყობის გარემოში – დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტთა საქმიანობას და უზრუნველყო შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენა. დასკვნით ეტაპზე, ვიზიტის შედეგების პრეზენტაციისას, ექსპერტებმა წარმოადგინეს დოკუმენტური ანალიზისა და გასაუბრებების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები, რომლებზეც, დაწესებულების წარმომადგენლებს, მიეწოდათ ინფორმაცია ვიზიტის დასრულებისას.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ხარვეზები არ დაფიქსირებულა; სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა; განმავითარებელი რეკომენდაციებიც არ გაცემულა. არგუმენტირებული პოზიციით, დაწესებულება სრულად დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიციას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“ შეესაბამება პროფესიული განათლების მესამე დონეს და კურსდამთავრებულს ანიჭებს საბაზო პროფესიულ კვალიფიკაციას ელექტროობაში. პროგრამა, რომელიც დამტკიცებულია 2025 წლის 24 ოქტომბრის №89 ბრძანებით, ხორციელდება ქართულ ენაზე ქალაქ გორში (ბესიკის ქ. №2). სწავლება მიმდინარეობს რეალურ სამუშაო გარემოში, კოოპერაციული ფორმით, რაც გულისხმობს მჭიდრო თანამშრომლობას პარტნიორ ორგანიზაციებთან. პროგრამაზე მოთხოვნილია სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 72 ადგილის ოდენობით, ხოლო კრედიტების მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის განსაზღვრულია 66-ით, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის – 81 კრედიტით.
პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების კომპონენტში ექსპერტმა ხაზი გაუსვა მის სრულ შესაბამისობას კოლეჯის მისიასთან და რეგიონული განვითარების პრიორიტეტებთან. შრომის ბაზრის ანალიზი ცხადყოფს, რომ შიდა ქართლის რეგიონში ელექტრიკოსების მიმართ მზარდი საჭიროებაა, რაც უკავშირდება ინფრასტრუქტურულ პროექტებსა და ენერგოეფექტურობის მიმართულებით მიმდინარე პროცესებს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია საბაზო განათლება, ხოლო ჩარიცხვის პროცედურები გამჭვირვალე და სამართლიანია. ექსპერტთა ჯგუფი სრულად დაეთანხმა 72-კაციან ზღვრულ ოდენობას, რადგან დაწესებულების ინფრასტრუქტურა და პარტნიორი კომპანიის შესაძლებლობები იძლევა სტუდენტთა ამ რაოდენობის ხარისხიანი სწავლების გარანტიას.
მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსების შეფასებისას ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ კოლეჯი ფლობს სათანადო ტექნიკურ ბაზას, მათ შორის A, B და C ტიპის სასწავლო გარემოებს. პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სს „ენერგო-პროსთან“, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს პრაქტიკული უნარები რეალურ სამუშაო პირობებში განავითარონ. პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს 16 კვალიფიციური მასწავლებელი, რომელთა დატვირთვა ოპტიმალურია და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამა ასევე ფინანსურად მდგრადია, რადგან საპროგნოზო ბიუჯეტით რენტაბელობის ზღვარი ჯგუფში 7 სტუდენტით არის განსაზღვრული.

სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებს. კოლეჯი სრულად უზრუნველყოფს სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას, მათ შორის სსსმ და შშმ პირებისთვის ადაპტირებული სასწავლო გეგმებისა და რესურსების შეთავაზებას. უსაფრთხოების ზომები სასწავლო ლაბორატორიებსა და სახელოსნოებში მკაცრად არის დაცული, მოწყობილია დამიწების კონტური და თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია უსაფრთხოების ინსტრუქციები. შეფასების სისტემა ვალიდური და ობიექტურია, მოიცავს შიდა ვერიფიკაციის მექანიზმს და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას 3 წლის ვადით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ემუხლის შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა: ა(ა)იპ კოლეჯ განთიადს(ს/კ: 217890192) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "ელექტროობა" **(დანართი 6).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 18 თებერვალი.

საბჭოს წევრმა დავით ჯინჭარაძემ დატოვა სხდომა.

მერვე საკითხი: სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო თამაზაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 10 ოქტომბრის N0001328163 ბრძანების (ცვლილება 13.10.2025 N 0001341900) საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1

ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.
ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად 2025 წლის 4, 5, 6 და 7 ნოემბერს განხორციელდა ვიზიტი სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემდეგ მისამართებზე ქ. ახალციხე – რუსთაველის 122ა; ქ. ახალქალაქი აღმაშენებლის ქ 119.
პროფესიული კოლეჯისა და უნივერსიტეტის ერთიან სივრცეში ფუნქციონირება ქმნის ძლიერ საგანმანათლებლო გარემოს, სადაც სტუდენტებს აქვთ მრავალფეროვანი შესაძლებლობები და რესურსებზე ფართო წვდომა. ორივე მიმართულებით სწავლების პროცესს დამოუკიდებლად, სპეციალიზებული და პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და მოწვეული ლექტორების ჯგუფი ახორციელდებს, რაც უზრუნველყოფს პროგრამების ხარისხს, მიმართულებების სპეციფიკასა და პროფესიულ სტანდარტებს. სწავლებისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა სრულად შეესაბამება უმაღლესი და პროფესიული დაწესებულების მოთხოვნებს სამუშაო სივრცეები და აუდიტორიები საკმარისად ფართო და კეთილმოწყობილია, რაც ხელს უწყობს კომფორტულ და ეფექტურ სასწავლო პროცესს. კომპიუტერული რესურსები, ასევე, მკაფიოდ განცალკევებულია, რათა თითოეულს გააჩნდეს უსაფრთხო და მიზნობრივად მორგებული ტექნიკური ბაზა. ასეთი ფორმატი ქმნის თანამედროვე, მოქნილ და განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო გარემოს, რომელიც სტუდენტებს აძლევს მაქსიმალურ შესაძლებლობას მიიღონ ხარისხიანი განათლება ორივე მიმართულებით. ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების რექტორს, ადმინისტრაციას, პროფესიული განათლების მასწავლებლებს და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. დათვალიერდა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. გასაუბრება შედგა პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან. ექსპერთა ჯგუფის მიერ მე-4 , მე-5 და მეორე სტანდარტი შეფასდა როგორც არ შეესაბამება სტანდარტის მოთხვონებს, დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციისას წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (ტექნიკური ხარვეზის გამო დაწესებულებამ განმეორებით წარმოადგინა წერილი 08.01.2026 N 0000002312) ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯერა პოზიციები და შესაბამისობის გეგმაში ასახული აქტივობების ვადებისა და ინდიკატორების გათვალისწინებით შეცვალა შეფასება. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

4.1.1.1 წარმომადგენლობითი საბჭოს 25/02/2025 დადგენილებით დამტკიცებულია დაწესებულების სტრუქტურა, სადაც გამოყოფილია პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების დეპარტამენტი ახალქალაქის მისამართზე, რაც შეეხება ახალციხის მისამართს, პოზიციები პროფესიული განათლების მიმართულებით ძირითადად შეთავსებული აქვთ უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ პერსონალს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არც სტრუქტურაში და არც თანამდებობრივ დებულებებში არ იკვეთება დაქვემდებარებები. აგრეთვე სტრუქტურაში არ არის გამოყოფილი ზოგიერთი პოზიცია. მაგალითად პროფესიული მიმართულების კოორდინატორი. პერსონალის ხელშეკრულებაში და თანამდებობრივ დებულებებში მოცემული ფუნქცია მოვალეობები განსხვავებულია ერთმანეთისგან . მაგალითად სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსთან ხელშეკრულება გაფორმებულია 17.02.2025 წელს, მისი სამუშაო აღწერილობა მოიცავს პროფესიული სწავლების მიმართულებით შემდეგ პუნქტებს : ა)ხელი შეუწყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებას; ბ) ზედამხედველობა გაუწიოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას პროგრამებით გათვალისწინებულ საკითხებს გეგმის შესაბამისად. გ)პროფესიულ სტუდენტებთან მუდმივად იქონიოს კომუნიკაცია დ) იყოს ჩართული სასწავლო

პროცესის ორგანიზებაში; ე) უზრუნველყოს სტუდენტური სერვისების ორგანიზება და მიწოდება. ვ) ჩაერთოს პროფესიული სტუდენტების პრაქტიკების ორგანიზებაში; ზ) უზრუნველყოს სასწავლო ცხრილების შედგენა და სტუდენტების ინფორმირება. თუმცა დაწესებულების მიერ 2025 წლის 16 ივნისს დამტკიცებულ სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის დებულებაში და არც წარმომადგენლობით საბჭოს მიერ დამტკიცებულ სასწავლო პროცესის მართვის განყოფილების დებულებაში არ იკვეთება არც ერთი ზემოაღნიშნული ფუნქცია. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არც ერთ დოკუმენტში არ არის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებებისა და უწყისების აღრიცხვასა და შენახვაზე პასუხისმგებელი პირი. გარდა ამისა, თანამდებობრივ დებულებაში გაწერილი ფუნქციები სრულად არ ფარავს პროფესიული განათლების მიმართულებით ყველა პროცესს. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას ახალქალაქის სასწავლო მისამართზე არ ჰყავდა განსაზღვრული პირველად გადაუდებელ დახმარებაზე პასუხისმგებელი პირი, როგორც გასაუბრებისას დადგინდა, ზემოაღნიშნულ პოზიციაზე დასაქმებული პირი განთავისუფლდა 2025 წლის აპრილში. დაწესებულებაში ვიზიტისას უნივერსიტეტს გამოცხადებული ჰქონდა ვაკანსია 55 პოზიციაზე აღნიშნული ვაკანსიები ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე. ექსპერტთა ჯგუფმა ადმინისტრაციულ პერსონალთან რამდენჯერმე ჩაატარა გასაუბრება, რის შედეგადაც გამოიკვეთა, რომ თანამშრომლებს დამატებითი განმარტება სჭირდებათ საკუთარი ფუნქციების შესახებ.

შესაბამისად ვიზიტის დროს ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა (22.12.2026 წლის აკადემიური საბჭოს დადგენილება N 0001816464 დადგენილება), სადაც აღნიშნული ინდიკატორი შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ სტანდარტის მოთხოვნებთან. აღნიშნულ გეგმაში განსაზღვრულია ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით გათვალისიწინებულია შემდეგი აქტივობები: 1. ახალი საშტატო ერთეულების დებულებების გადახედვა-კორექტირება; 2.პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების გადახედვა, განაწილება თანამშრომელთა ჩართულობით/გაცნობის უზრუნველყოფა; 3. განახლებული ფუნქცია-მოვალეობების მიხედვით შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა-კორექტირება. აღნიშნულის შესასრულებლად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 6 თვიანი პერიოდი. ექსპერტთა ჯგუფი რეალისტურად მიიჩნევს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს, რესურსებს, აქტივობებს და შესრულების ინდიკატორებს. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია, განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

4.1.1.2 დაწესებულებაში ფუნქციების გადანაწილება ხელს არ უწყობს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას, რადგან წარმოდგენილი სტრუქტურული და თანამდებობრივი დოკუმენტების ანალიზი აჩვენებს პასუხისმგებლობების არათანმიმდევრულ და ფრაგმენტულ განაწილებას. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ადმინისტრაციულ პერსონალს, რის შედეგადაც გამოიკვეთა, რომ პერსონალი მიმდინარე პროცესებსა და მათზე დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს ქაოტურად განმარტავდა. მიუხედავად იმისა, რომ საქმიანობა ფაქტიურად ხორციელდება, მისი განხორციელება ხდება არასისტემურად და არათანმიმდევრულად. რაც მიუთითებს პროცესების ორგანიზებისა და ფუნქციების არასწორ განაწილებაზე. შესაბამისად **ვიზიტის დროს ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო.** დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა (22.12.2026 წლის აკადემიური საბჭოს დადგენილება N 0001816464 დადგენილება), სადაც აღნიშნული ინდიკატორი შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ სტანდარტის მოთხოვნებთან. აღნიშნულ გეგმაში

განსაზღვრულია ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით გათვალისწინებულია შემდეგი აქტივობები: 1. ახალი საშტატო ერთეულების დებულებების გადახედვა-კორექტირება; 2. პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების გადახედვა, განაწილება თანამშრომელთა ჩართულობით/გაცნობის უზრუნველყოფა; 3. განახლებული ფუნქცია-მოვალეობების მიხედვით შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა-კორექტირება . აღნიშნულის შესასრულებლად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 6 თვიანი პერიოდი. ექსპერტთა ჯგუფი რეალისტურად მიიჩნევს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს, რესურსებს, აქტივობებს და შესრულების ინდიკატორებს. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია, განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

4.1.1.3 დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, ის პასუხისმგებელია პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო გეგმის შესრულებასა და ადმინისტრირებაზე. მეთოდოლოგიის შესწავლისა და ადგილზე გამოთხოვილი დოკუმენტების მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი მონაწილეობს სხვადასხვა პროცესში. მაგალითად: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის მე-7 მუხლის ,,ინდივიდუალური გეგმის შემუშავება“ მე -6 პუნქტის მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტს, რამაც უნდა უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის მიერ შესაბამისი პროფესიული სტანდარტით დადგენილი ცოდნის და უნარების შეძენა. პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურში მიღების წესის (აკადემიური საბჭოს "22" "06" 2020 წლის N25 დადგენილება, ბოლო ცვლილება აკადემიური საბჭოს 2025 წლის 23 ივნისის დადგენილება #73) მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი და შესაბამისი ფაკულტეტის დეკანთან ერთად, სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურში მიღების წესის მე-3 მუხლის, მე-7 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე შეარჩევენ კანდიდატს.
დაწესებულების რექტორის 2025 წლის 26 ივნისის N753914 ბრძანებით, ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემებში სტუდენტთა/ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა, პერსონალთა პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე. ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ იგი არის ჩართული პროფესიული განათლების მიმართულებით მიმდინარე თითქმის ყველა პროცესში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **და წესებულებაში იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი, ვინაიდან ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ჩართულია კოლეჯში მიმდინარე პროცესებში ის ვერ შეძლებს ობიექტურად შეაფასოს და იზრუნოს დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების განვითარებაზე. შესაბამისად ვიზიტის დროს, ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო.** დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა (22.12.2026 წლის აკადემიური საბჭოს დადგენილება N 0001816464 დადგენილება), სადაც აღნიშნული ინდიკატორი შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ სტანდარტის მოთხოვნებთან. აღნიშნულ გეგმაში განსაზღვრულია ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით გათვალისწინებულია შემდეგი აქტივობები: 1. ახალი საშტატო ერთეულების დებულებების გადახედვა-კორექტირება; 2. პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების გადახედვა, განაწილება თანამშრომელთა ჩართულობით/გაცნობის უზრუნველყოფა; 3. განახლებული ფუნქცია-მოვალეობების მიხედვით შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების

გადახედვა-კორექტირება . აღნიშნულის შესასრულებლად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 6 თვიანი პერიოდი. ექსპერტთა ჯგუფი რეალისტურად მიიჩნევს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს, რესურსებს, აქტივობებს და შესრულების ინდიკატორებს. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია, განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

4.1.2.2 დაწესებულების მეთოდოლოგიაში არ არის გაწერილი პროფესიული განათლების მიმართულებით არსებული პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვის და დასაქმების პროცედურები ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. დაწესებულებაში პერსონალის შერჩევის პროცესი ბუნდოვანია, ვინაიდან არც მეთოდოლოგიაში და არც პრაქტიკაში არ ჩანს საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რის მიხედვით ხდება ადმინისტრაციული პერსონალის დასაქმება. შესაბამისად ვიზიტის დროს ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა (22.12.2026 წლის აკადემიური საბჭოს დადგენილება N 0001816464 დადგენილება), სადაც აღნიშნული ინდიკატორი შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ სტანდარტის მოთხოვნებთან. აღნიშნულ გეგმაში განსაზღვრულია ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით გათვალისწინებულია შემდეგი აქტივობა: 1.მართვის პოლიტიკის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა-კორექტირება . აღნიშნულის შესასრულებლად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 6 თვიანი პერიოდი. ექსპერტთა ჯგუფი რეალისტურად მიიჩნევს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს, რესურსებს, აქტივობებს და შესრულების ინდიკატორებს. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია, განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

4.1.2.3 უნივერსიტეტში ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა რამდენჯერმე გამოითხოვა პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. **დაწესებულებამ წარმოადგინა მხოლოდ პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც გაწერილია "პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურში მიღების წესში, თუმცა არ წარმოუდგენია ადმინისტრაციული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფი მოკლებული იყო აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნის შეფასების შესაძლებლობას. შესაბამისად ვიზიტის დროს ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო.** დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა (22.12.2026 წლის აკადემიური საბჭოს დადგენილება N 0001816464 დადგენილება), სადაც აღრნიშნული ინდიკატორი შეფასებაული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ სტაანდარტის მოთხოვნებთან. აღნიშნულ გეგმაში განსაზღვრულია ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით გათვალისიწინებულია შემდეგი აქტივობა: 1.მართვის პოლიტიკის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვაკორექტირება . აღნიშნულის შესასრულებლად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 6 თვიანი პერიოდი. ექსპერტთა ჯგუფი რეალისტურად მიიჩნევს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს, რესურსებს, აქტივობებს და შესრულების ინდიკატორებს. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია, განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

5.1.2.1. დაწესებულების მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები: დამონტაჟებულია შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმა, შენობაში წესრიგის დაცვის მიზნით შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეო ჩანაწერის/შენახვის ფუნქციით აღჭურვილი ვიდეო კამერები. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2021 წლის 28 დეკემბრის N57 დადგენილებით დამტკიცებულია „უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუქცია“ სადაც გაწერილია უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები. უნივერსიტეტმა ქ. ახალციხეში მდებარე კორპუსის შემთხვევაში წარმოდგინა კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ და ასევე წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. საევაკუაციო გზებზე/გასასვლელებში ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების განთავსების ადგილებში გამოკრულია საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის სატელეფონო ნომერი. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „გრიფინი“ შენობის პერიმეტრზე უსაფრთხოების დაცვის მომსახურებაზე. დაცვის თანამშრომელი ვალდებულია ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის გამართულად მუშაობასა და ჩანაწერების შესაბამისი წესით შენახვაზე.

ქ. ახალქალაქში განთავსებულ მეოთხე კორპუსში წარმოდგენილი არ იქნა სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. შესაბამისად ვიზიტის დროს ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა (22.12.2026 წლის აკადემიური საბჭოს დადგენილება N 0001816464 დადგენილება), სადაც აღნიშნული ინდიკატორი შეფასებული აქვს როგორც ,, ნაწილობრივ შესაბამისი“ სტანდარტის მოთხოვნებთან. აღნიშნულ გეგმაში განსაზღვრულია ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით გათვალისიწინებულია შემდეგი აქტივობა – უნივერსიტეტის მიერ ჰიდრანტში წლის მიწოდების შესაბამისი მოთხოვნების უზრუნველყოფა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოწვევა დასკვნისთვის. აღნიშნულის შესასრულებლად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 15 თვიანი პერიოდი. ექსპერტთა ჯგუფი რეალისტურად მიიჩნევს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს, რესურსებს, აქტივობებს და შესრულების ინდიკატორებს. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია, განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება ნაწილობრივ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

5.1.2.2. სსიპ სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, რის თანახმადაც პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მედდა. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით, შენობაში განთავსებულია სამედიცინო დახმარების ოთახი აღჭურვილი პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის საჭირო ინვენტარით და საშუალებებით. დაწესებულებაში წარმოებს შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი, თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ტელეფონის ნომრები, რომლებზეც უნდა მოხდეს დაკავშირება პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის შემთხვევაში.

ქ. ახალციხეში ხელშეკრულება (N88) გაფორმებულია მედდასთან ხოლო ქ. ახალქალაქის მისამართზე არ არის პირველი გადაუდებელი დახმარების გაწევაზე პასუხისმგებელი პირი, როგორც ადმინისტრაციასთან გასაუბრებით ირკვევა, მან 2025 წლის გაზაფხულზე დატოვა დაკავებული პოზიცია. შესაბამისად, მიმდინარე ეტაპისთვის ახალქალაქის მისამართზე არ

მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. **შესაბამისად ვიზიტის დროს ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო.**
დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა (22.12.2026 წლის აკადემიური საბჭოს დადგენილება N 0001816464 დადგენილება), სადაც აღრნიშნული ინდიკატორი შეფასებაული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი" სტაანდარტის მოთხოვნებთან. აღნიშნულ გეგმაში განსაზღვრულია ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით გათვალისიწინებულია შემდეგი აქტივობა – ახალქალაქის მისამართზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის ამოქმედება. აღნიშნულის შესასრულებლად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 1 თვიანი პერიოდი. ექსპერტთა ჯგუფი რეალისტურად მიიჩნევს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს, რესურსებს, აქტივობებს და შესრულების ინდიკატორებს. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია, განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

2.4.2.1. ,,პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესის მე-10 მუხლში გაწერილია შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცედურა სადაც აღნიშნულია, რომ ზოგადი მოდულების, ასევე პროფესიული მოდულების სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების შინაარსობრივ ვალიდაციასა და ინსტრუმენტების მიმართ განსაზღვრულ მოთხოვნებთან ფორმალურ შესაბამისობას უზრუნველყოფს პროგრამის ხელმძღვანელი შესაბამისი კომპეტენციის მქონე დარგის სპეციალისტების ჩართულობით (ე.წ/ ვალიდაციის ჯგუფი). პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ერთი პროგრამის ხელმძღვანელი, რომელსაც ხელშეკრულებით განსაზღვრული აქვს 6 დარგობრივი და ერთი ზოგადი მოდულის განხორციელება. შესაბამისად ბუნდოვანია ვინ შეაფასებს პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შედგენილ შეფასების ინსტრუმენტის შესაბამისობას მოდულით დადგენილ მოთხოვნებთან (ვალიდაცია). მეთოდოლოგიის შესაბამისად ვალიდაციის პროცედურა არ გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.
ამავე მუხლში აღნიშნულია, რომ შინაარსობრივი მიმართულებით შეფასების ინსტრუმენტების განხილვისას, ვალიდაციის ჯგუფი ხელმძღვანელობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით, მოდულით და შეფასების ინსტრუმენტის კონტექსტში ადგენს: ა) შეფასების ინსტრუმენტის შესაბამისობას შეფასების მიმართულებასთან; ბ) შეფასების ინსტრუმენტის ვალიდურობას ანუ ინსტრუმენტის რელევანტურობას იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რომელიც ფასდება. ასევე იმას, რომ შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით; გ) შეფასების სისტემის სამართლიანობას, ანუ ინსტრუმენტით გათვალისწინებული პროცესი მისცემს თუ არა საშუალებას პროფესიულ სტუდენტს, დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები); დ) შეფასების სისტემის გამჭვირვალეობას, ანუ რამდენად ცალსახად და გასაგებადაა ჩამოყალიბებული სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია.
დაწესებულებაში ვიზიტისას ადგილზე გადამოწმდა პროფესიულ სტუდენტთა შეფასებასთან დაკავშირებული ყველა მტკიცებულება. აღსანიშნავია, რომ შეფასების მტკიცებულებების შინაარსობრივი ნაწილი გამართულია, თუმცა **დარღვეულია ვალიდაციის პროცედურა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვიზიტის დროს ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო.**
დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა (22.12.2026 წლის აკადემიური საბჭოს დადგენილება N 0001816464

დადგენილება), სადაც აღრნიშნული ინდიკატორი შეფასებაული აქვს როგორც ,, მეტწილად შესაბამისი“ სტაანდარტის მოთხოვნებთან. აღნიშნულ გეგმაში განსაზღვრულია ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით გათვალისიწინებულია შემდეგი აქტივობები : – 1. წესში ცვლილება ვალიდაციის პროცესში ინტერესთა კონფლიქტის გამოსარიცხად ; 2. პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგი. აღნიშნულის შესასრულებლად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 6 თვიანი პერიოდი. ექსპერტთა ჯგუფი რეალისტურად მიიჩნევს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს, რესურსებს, აქტივობებს და შესრულების ინდიკატორებს. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია, განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

2.4.2.2. დაწესებულებაში ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა ვერიფიკაციის პროცედურასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებულ მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ ვერიფიკაცია ხორციელდება შემდეგ ეტაპებად: ა) ვერიფიკაციის განმახორციელებელი ჯგუფის შექმნა ბ) რეგულაციის შემუშავება გ) რისკების განსაზღვრა დ) ვერიფიკაციის განხორციელება ე) შედეგის ანალიზი ვ) უკუკავშირი – დაგეგმვა დაწესებულებამ აღნიშნული დოკუმენტაციიდან წარმოადგინა მხოლოდ ვერიფიკაციის ანალიზი., დაწესებულებას არ წარმოუდგენია ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის ბრძანება, ვერიფიკაციის გეგმა და რისკების სქემა. ექსპერტთა ჯგუფისთვის უცნობია, როგორ დაიგეგმა და განხორციელდა ვერიფიკაციის პროცესი ვერიფიკაციის ანალიზში აღნიშნულია, რომ საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის რისკების მიხედვით შეარჩია 10 პროფესიული მოდული, რომელიც განხორციელდა 2025 წლის 24-28 თებერვალს, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ შეფასების სისტემის ვალიდურობის, სანდოობის, ობიექტურობის, გამჭვირვალეობისა და სამართლიანობის შემოწმება აღნიშნულ ვადაში არარეალისტურია. აგრეთვე, ვერიფიკაციის დასკვნაში, არ იკვეთება ვალიდაციის პროცესში ინტერესთა კონფლიქტის საკითხი, და ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ გაცემულია მხოლოდ ტექნიკური ხასიათის რეკომენდაცია. ვერიფიკაციის ანალიზს ხელს აწერს მხოლოდ განათლების ვერიფიკატორი – ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი , ასევე ანგარიშს არ ახლავს თარიღი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დაწესებულების მიერ განხორციელებული ვერიფიკაცია არასრულყოფილია და არ ასახავს რეალურად პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის შემოწმების შედეგებს. აქედან გამომდინარე, ვიზიტის დროს ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა (22.12.2026 წლის აკადემიური საბჭოს დადგენილება N 0001816464 დადგენილება), სადაც არნიშნული ინდიკატორი შეფასებული აქვს როგორც ,, მეტწილად შესაბამისი“ სტანდარტის მოთხოვნებთან. აღნიშნულ გეგმაში განსაზღვრულია ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. აღნიშნულის შესასრულებლად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 6 თვიანი პერიოდი. ექსპერტთა ჯგუფი რეალისტურად მიიჩნევს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს, რესურსებს, აქტივობებს და შესრულების ინდიკატორებს. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია, განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

1.2.1.3 უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში, ამოცანებისა და შესაბამისი აქტივობების განხორციელების პერიოდის გრაფაში მოცემულია ,,წლის განმავლობაში" ან ,,პერიოდულად". მეთოდოლოგიისა და პრაქტიკის მიხედვით, დაწესებულება სამოქმედო გეგმის შეფასებას აკეთებს მხოლოდ წლის ბოლოს, თუმცა მნიშვნელოვანია ერთწლიანი გეგმის გადახედვა მოხდეს მინიმუმ ერთხელ, 6 თვის თავზე, რათა გამოვლინდეს მიმდინარე პერიოდისთვის რა შესრულდა და რომელი ამოცანის შესრულება გადავადდა წლის ბოლომდე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია გადახედოს და ცვლილება განახორციელოს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიასა და სამოქმედო გეგმაში .

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5.2.3.4. განმავითარებელი რეკომენდაცია: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი წარმოადგენს დაწესებულების ერთგვარ „სავიზიტო ბარათს", შესაბამისად, რეკომენდებულია მისი შინაარსობრივი გაღრმავება – დამატებით უნდა აისახოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და თანამშრომლობის აქტივობები, პარტნიორი ორგანიზაციები და განხორციელებული ინიციატივები, რაც უზრუნველყოფს დაწესებულების საქმიანობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებას დაინტერესებული პირებისათვის.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
განმავითარებელი რეკომენდაცია შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში: საექთნო განათლება, კომპიუტერული ქსელი და სისტემები, ბუღალტრული აღრიცხვა

2.2.1 7. დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია ბიუჯეტში გაითვალისწინოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროფესიული განვითარების მხარდაჭერისთვის აუცილებელი ფინანსური რესურსები, ასევე – სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის საჭირო თანხები. ბიუჯეტში საჭიროა განისაზღვროს პროგრამის რენტაბელობის ზღვარი, რათა მოხდეს ფინანსური რისკების შემცირება და პროგრამის ოპერირების გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველყოფა.

პირველ სტანდარტთან დაკავშირებიტ ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია სრულად შეესაბამება დასახულ მიზნებს და პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან. ასევე, მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები, რომლებიც გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი. კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის ანალიზისას ხაზი გაესვა, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაა უმაღლესი და პროფესიული განათლების თანაარსებობით, სწავლებისა და კვლევის გზით, წვლილი შეიტანოს საზოგადოების განვითარებაში. ეს განმარტებულია იმგვარად, რომ უმაღლესი განათლების გვერდით პროფესიული პროგრამების განხორციელება გაზრდის დამსაქმებლების მონაწილეობას და საზოგადოების ფართო ფენების ხელმისაწვდომობას განათლებაზე. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ტრადიციულ და ინოვაციურ მეთოდებზე დაფუძნებულ კვლევებს, შრომის ბაზარზე ორიენტირებულ მაღალი ხარისხის აკადემიურ ცოდნას უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე, პროფესიულ განათლებასა და მთელი ცხოვრების მანძილზე. მნიშვნელოვანია ისიც, რომ დაწესებულება ეყრდნობა სამცხე-ჯავახეთის განვითარების პრიორიტეტებს და ხელს უწყობს არაქართულენოვანი მოსახლეობის ინტეგრირებას ქართულ საზოგადოებაში.

პიროვნების პროფესიული განვითარება საფუძვლად ედება დასაქმებასა და თვითდასაქმებას, ხოლო მოსახლეობის ყველა ფენისთვის პროფესიული განვითარების სრული და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა თაობების აღზრდის საფუძვლად იქცევა. ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შექმნა განპირობებული იყო რეგიონის განვითარების, ახალგაზრდობის რეგიონში დაკავებისა და დემოგრაფიული დისბალანსის აღმოფხვრის მიზნით. უნივერსიტეტის მისიაში მკაფიოდ არის ხაზგასმული მულტიეთნიკურ და მულტიკულტურულ რეგიონში ფუნქციონირებადი საგანმანათლებლო დაწესებულების როლი. დაწესებულება მულტიპროფილურია და ახორციელებს რეგიონში დეფიციტურ და მოთხოვნად პროგრამებს. შესაბამისად, ექსპერტთა შეფასებით, ეს ინდიკატორიც დაკმაყოფილებულია.
დაწესებულება განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას. დაგეგმვისას განისაზღვრება მისიასთან თავსებადი მიზნები, ამოცანები, ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსები. აკადემიური საბჭოს 2019 წლის დადგენილებითა და 2020 წლის ცვლილებით დამტკიცებულია სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. პროცესის ეფექტიანად ორგანიზებისათვის იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედის ფაკულტეტის მინიმუმ ორი წარმომადგენელი. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველწლიურად უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების ან შეუსრულებლობის შესახებ ინფორმაციის გაანალიზებასა და ანგარიშის წარმოდგენას აკადემიური საბჭოს წინაშე. ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
სამუშაო ჯგუფი სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში პერიოდულად განიხილავს გამოკვეთილ საკითხებს, რაშიც ჩართულია რექტორი, პერსონალი, სტუდენტები და დამსაქმებლები. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ხდება რეკომენდაციების გათვალისწინება. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში აქტივობების განხორციელების პერიოდად მითითებულია "წლის განმავლობაში" ან "პერიოდულად" და შეფასება კეთდება წლის ბოლოს, ექსპერტების მიერ გაიცა მნიშვნელოვანი განმავითარებელი რეკომენდაცია: სასურველია ერთწლიანი გეგმის გადახედვა მოხდეს მინიმუმ ერთხელ, 6 თვის თავზე, რათა გამოვლინდეს რა შესრულდა მიმდინარე პერიოდისთვის. მტკიცებულებებზე დაყრდნობით (სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, 2019-2025 წლების გეგმა, 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა, ოქმები, ინტერვიუები) ეს ინდიკატორიც დაკმაყოფილებულად ჩაითვალა.
რაც შეეხება მონიტორინგისა და შეფასების სისტემას, პსდ ახორციელებს გეგმების შესრულების შეფასებას დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით და სათანადოდ რეაგირებს შედეგებზე. სამოქმედო გეგმის შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია. ექსპერტებმა შეისწავლეს 2023 და 2024 წლის სამოქმედო საბოლოო ანგარიშები. შეფასების საფუძველზე დგება წლიური ანგარიში, რომლის ანალიზიც პასუხობს კითხვებს, თუ რამ მოახდინა გავლენა გეგმებსა და ფაქტობრივ ღონისძიებებს შორის განსხვავებებზე და რა არის საჭირო ეფექტურობის გასაზრდელად. დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებულია შესრულების ანგარიშები წლების მიხედვით და ის საჯაროდ ეცნობა პარტნიორებსა თუ სტუდენტებს.

პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები
ექსპერტმა ნინო თამაზაშვილმა მიმოიხილა პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის მექანიზმები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შიდა რეგულაციებით სრულად არის უზრუნველყოფილი კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებებისა და გარანტიების დაცვა. მან ხაზი გაუსვა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 18

მაისის №11 დადგენილებას, რომლითაც დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. აღნიშნული დოკუმენტი, უნივერსიტეტის შინაგანაწესთან და პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკასთან ერთად, მკაფიოდ არეგულირებს სტუდენტთა უფლება-მოვალეობებს, სტატუსის მართვის პროცედურებსა და განსაკუთრებით არასრულწლოვანთა მონაცემების დაცვის სტანდარტებს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტისას უშუალოდ გადამოწმდა პირადი საქმეები და დადასტურდა მათი სრული თანხვედრა მოქმედ კანონმდებლობასთან, რის საფუძველზეც აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულად შეფასდა.

შემდგომ ნაწილში ექსპერტმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ პროფესიული სტუდენტები სრულყოფილად იცნობენ და აქტიურად იყენებენ თავიანთი უფლებების დაცვის მექანიზმებს. მან აღნიშნა სწავლის დაწყების ეტაპზე დანერგილი საორიენტაციო შეხვედრების მნიშვნელობა, სადაც რექტორისა და სხვა ადმინისტრაციული პირების ჩართულობით სტუდენტებს დეტალურად მიეწოდებათ ინფორმაცია უნივერსიტეტის რეგულაციების შესახებ. ექსპერტმა ასევე მიმოიხილა შეფასების სისტემა და განმარტა, რომ იგი რეგულირდება აკადემიური საბჭოს 2020 წლის 18 მაისის N9 დადგენილებით. გასაუბრებების შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ სტუდენტები შეფასებამდე 5 სამუშაო დღით ადრე იღებენ ინფორმაციას მასწავლებლისგან და სრულად არიან ინფორმირებულნი აპელაციის პროცედურების შესახებ, თუმცა გასაჩივრების პრაქტიკული საჭიროება ჯერ არ დამდგარა. ექსპერტმა დამატებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტსა და სტუდენტებს, მათ შორის არასრულწლოვანთა კანონიერ წარმომადგენლებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები, ისევე როგორც ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების წესი, სრულად ითვალისწინებს სსსმ და შშმ პირთა ინტერესებსა და საჭიროებებს.

პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებებზე საუბრისას, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სასწავლო დაწესებულებაში ეფექტურად ფუნქციონირებს სხვადასხვა მხარდამჭერი სერვისი. მან ხაზი გაუსვა, რომ სტუდენტები იღებენ სათანადო კონსულტაციებს აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, რაშიც ინტენსიურად გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ ფორმატში. ექსპერტმა დადებითად შეაფასა პროგრამის ხელმძღვანელისა და ხარისხის სამსახურის მიერ ორგანიზებული ადაპტაციის ერთკვირიანი პროცესი ახალჩარიცხულთათვის. ადმინისტრაციული მხარდაჭერის კუთხით, ექსპერტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის (Eflow) გამოყენებით მოთხოვნილი ცნობები გაიცემა არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის განმავლობაში, რაც სრულად პასუხობს გონივრული ვადის მოთხოვნას. ექსპერტმა ასევე აღნიშნა დაწესებულების ძალისხმევა დამატებითი და არაფორმალური აქტივობების წახალისების მიმართულებით და ყურადღება გაამახვილა კონფიდენციალური კითხვარების საშუალებით მიღებულ უკუკავშირის სისტემაზე, რომლის საფუძველზეც დაწესებულება მომსახურების სერვისებს აუმჯობესებს.

ექსპერტმა დეტალურად ისაუბრა კარიერული მხარდაჭერის მომსახურების ეფექტურობაზე. აღინიშნა, რომ უნივერსიტეტში გამოყოფილია პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის სპეციალისტი, რომელიც მიზანმიმართულად მუშაობს როგორც სტუდენტებთან, ისე კურსდამთავრებულებთან. ექსპერტმა ხაზი გაუსვა დამსაქმებლებთან დამყარებულ მჭიდრო თანამშრომლობას, ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის მუდმივ განახლებასა და სოციალურ ქსელში არსებული თემატური ჯგუფების წარმატებულ ფუნქციონირებას. პერიოდულად ხორციელდება კვლევები პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით. კვლევის მონაცემები, ეთიკური ნორმებისა და ანონიმურობის დაცვით, ერთ თვეში მუშავდება და მიღებული უკუკავშირი აისახება დაწესებულების ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, რაც მომსახურების ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებას ემსახურება.

ადამიანური რესურსები

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების წესდების მიხედვით განსაზღვრულია მართვის ორგანოები (აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, კანცლერი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტის საბჭო, დეკანი). თუმცა, ექსპერტმა ხაზი გაუსვა რიგ ხარვეზებს: სტრუქტურასა და თანამდებობრივ დებულებებში არ იკვეთება დაქვემდებარებები, არ არის გამოყოფილი ზოგიერთი პოზიცია (მაგალითად, პროფესიული მიმართულების კოორდინატორი), პერსონალის ხელშეკრულებებსა და თანამდებობრივ დებულებებში მოცემული ფუნქცია-მოვალეობები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან და სრულად არ ფარავს პროფესიული განათლების მიმართულებით მიმდინარე პროცესებს. მაგალითად, სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფუნქციები არ იკვეთება დეპარტამენტის დებულებაში. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში ახალქალაქის სასწავლო მისამართზე არ იყო განსაზღვრული პირველად გადაუდებელ დახმარებაზე პასუხისმგებელი პირი (გათავისუფლდა 2025 წლის აპრილში) და უნივერსიტეტს გამოცხადებული ჰქონდა 55 ვაკანსია.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვიზიტის დროს ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო. თუმცა, დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა (22.12.2026 წლის აკადემიური საბჭოს დადგენილება), სადაც გაწერილია 6-თვიანი ვადა ხარვეზების აღმოსაფხვრელად (საშტატო ერთეულების დებულებების გადახედვა, ფუნქცია-მოვალეობების განაწილება, შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების კორექტირება). ექსპერტთა ჯგუფმა რეალისტურად მიიჩნია აღნიშნული გეგმა და დაწესებულებას მიეცა შესაბამისი რეკომენდაცია.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ფუნქციების გადანაწილება ხელს არ უწყობს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას, რადგან დოკუმენტების ანალიზი აჩვენებს პასუხისმგებლობების არათანმიმდევრულ და ფრაგმენტულ განაწილებას. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ადმინისტრაციული პერსონალი მიმდინარე პროცესებსა და საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს ქაოტურად განმარტავს. მიუხედავად იმისა, რომ საქმიანობა ფაქტიურად ხორციელდება, პროცესების ორგანიზება არასისტემურია. ვიზიტის დროს ეს ინდიკატორიც არ იყო დაკმაყოფილებული.
ექსპერტმა ხაზი გაუსვა მესამე ინდიკატორის პრობლემურობასაც, რომელიც ინტერესთა კონფლიქტს ეხება. ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები, რომლებიც გაწერილია სხვადასხვა დოკუმენტში (2013 და 2025 წლების დებულებები, ხელშეკრულება, მეთოდოლოგია, რექტორის ბრძანება), მოიცავს ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა დიპლომების მომზადება, მარეგულირებელი დოკუმენტების შემუშავება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტის წარდგენა, მასწავლებლების შერჩევაში მონაწილეობა და პერსონალურ მონაცემთა დამუშავება. ინტერვიუს დროსაც დადასტურდა, რომ სპეციალისტის ჩართულობა მიმდინარე პროცესებში ქმნის ინტერესთა კონფლიქტს, რაც ხელს შეუშლის მას ობიექტურად შეაფასოს და შეიმუშაოს განვითარების რეკომენდაციები.

ექსპერტმა განიხილა პერსონალის მართვის პოლიტიკა (4.1.2). მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და უზრუნველყოფს პერსონალის მართვის პროცესების გამჭვირვალობას. დოკუმენტში მკაფიოდ არის განსაზღვრული ადამიანური რესურსების მართვის მიზნები და ამოცანები, პერსონალი კი იცნობს შინაგანაწესს, რაც ხელმოწერით არის დადასტურებული. შესაბამისად, პირველი ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
ექსპერტმა ასევე ხაზი გაუსვა, რომ მეთოდოლოგიაში არ არის გაწერილი პროფესიული განათლების მიმართულებით კადრების მოზიდვისა და დასაქმების გამჭვირვალე პროცედურები. პერსონალის შერჩევის პროცესი ბუნდოვანია და არც პრაქტიკაში ჩანს საკვალიფიკაციო მოთხოვნები ადმინისტრაციული პერსონალის დასაქმებისას. მიუხედავად

ექსპერტთა არაერთგზის მოთხოვნისა, დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ადმინისტრაციული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რის გამოც ვიზიტის დროს ეს ორი ინდიკატორიც არ დაკმაყოფილდა.
რაც შეეხება ორგანიზაციულ კულტურას, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ის ეფუძნება თანამონაწილეობით და გუნდური მუშაობის პრინციპებს (სამუშაო ჯგუფების შექმნა, შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი), რის საფუძველზეც მეოთხე ინდიკატორი დაკმაყოფილებულად ჩაითვალა. კომპონენტის (4.1.2) საერთო შეფასებაა მეტწილად შეესაბამება.
პერსონალის განვითარებას (4.2.1) საუბრისას, აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, დაწესებულება სრულყოფილად უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას. შემუშავებულია შეფასების სისტემა, რომელიც მოიცავს ხარისხობრივ და რაოდენობრივ შეფასებას (თვითშეფასება, სტუდენტთა შეფასება). პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, რაც ასახულია 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმაში.
ნინო თამაზაშვილმა ხაზი გაუსვა, რომ დაწესებულება აქტიურად უწყობს ხელს პროფესიული განათლების მასწავლებლების კარიერულ წინსვლას (ტრენინგები, კონფერენციები, მათ შორის ინგლისური ენისა და კომპიუტერული უნარ-ჩვევების კურსები). ასევე, ეფექტურად მიმდინარეობს ახალი თანამშრომლების ინტეგრაცია სამუშაო გარემოსთან და შინაგანაწესის შესაბამისად წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები
ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ინფრასტრუქტურა სრულად უწყობს ხელს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას. მან ხაზი გაუსვა, რომ უნივერსიტეტი ფუნქციონირებს ორ ლოკაციაზე — ქალაქ ახალციხესა და ახალქალაქში. ახალციხის კორპუსი წარმოადგენს დაწესებულების საკუთრებას, სადაც მოწყობილია ადაპტირებული გარემო შშმ პირთათვის, ხოლო ახალქალაქის სრულად რეკონსტრუირებული შენობა უნივერსიტეტს გადაეცა სარგებლობის უფლებით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ორივე კორპუსში სათანადოდ არის აღჭურვილი აუდიტორიები, ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზები, სპორტული და საკონფერენციო სივრცეები, რომლებიც უზრუნველყოფილია როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათებით.
მატერიალური რესურსების მართვის კონტექსტში ნინო თამაზაშვილმა განმარტა, რომ ინფრასტრუქტურა და საერთო სარგებლობის სივრცეები დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. ექსპერტმა დაადასტურა, რომ მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა სივრცეში მკაცრად არის დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და შენობა-ნაგებობები სრულად არის უზრუნველყოფილი ბუნებრივ აირზე მომუშავე ცენტრალური გათბობის სისტემით. დამატებით, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ დაწესებულებაში ეფექტურად მოქმედებს შრომის უსაფრთხოებისა და სასწავლო პროცესის საჭირო მასალა-ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები, რასაც ადასტურებს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტები და სტუდენტებთან ჩატარებული გასაუბრებები.
უსაფრთხოების ზომების მიმოხილვისას ექსპერტმა ხაზი გაუსვა გარკვეულ გამოწვევებს. მან აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ შენობის პერიმეტრზე წესრიგის დაცვა და ვიდეომონიტორინგი სათანადოდ ხორციელდება, ახალქალაქის კორპუსში არ იყო წარმოდგენილი სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის დასკვნა, რის გამოც ვიზიტის დროს ეს ინდიკატორი დაუკმაყოფილებლად შეფასდა. თუმცა, ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა 15-თვიანი შესაბამისობის გეგმა, რის საფუძველზეც აღნიშნული კრიტერიუმი ნაწილობრივ შესაბამისად ჩაითვალა.

მსგავსი ვითარება დაფიქსირდა პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიმართულებითაც; ექსპერტმა აღნიშნა, რომ ახალქალაქის მისამართზე არ ფიქსირდებოდა სამედიცინო პერსონალი, თუმცა წარმოდგენილი 1-თვიანი აღმოფხვრის გეგმის საფუძველზე, ეს კომპონენტი მეტწილად შესაბამისად შეფასდა.
საინფორმაციო რესურსების შეფასების ნაწილში ექსპერტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი IT ინფრასტრუქტურა სრულად პასუხობს არსებულ მოთხოვნებს. ექსპერტის ინფორმაციით, უნივერსიტეტი ფლობს 412 ერთეულ კომპიუტერულ მოწყობილობას, ქსელი დაცულია ანტივირუსული პროგრამებით და ხდება მონაცემთა პერიოდული რეზერვირება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვა და საქმისწარმოება უმაღლეს დონეზეა ორგანიზებული, რასაც უზრუნველყოფს 2018 წლიდან დანერგილი ელექტრონული სისტემა „Eflow“ და პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (EMIS) დროულად და ზუსტად ასახული მონაცემები.
საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ფინანსური რესურსების განხილვისას ექსპერტმა მიუთითა, რომ უნივერსიტეტის ვებგვერდი და სოციალური ქსელები ეფექტურად ასრულებენ საინფორმაციო ფუნქციას. ექსპერტმა გასცა განმავითარებელი რეკომენდაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის შინაარსობრივი გაღრმავების შესახებ, რათა მასში აისახოს პარტნიორი ორგანიზაციები და საგანმანათლებლო აქტივობები. დასასრულს, ექსპერტმა დაადასტურა დაწესებულების ფინანსური მდგრადობა და აღნიშნა, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები სრულად არის უზრუნველყოფილი შესაბამისი ფინანსური რესურსებით, ხოლო ფინანსური ანგარიშგება მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, რეგულარულად მიეწოდება განათლების სამინისტროსა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „ფარმაცია (სააფთიაქო)“
მეხუთე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ მიზნად ისახავს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებას. პროგრამა ხორციელდება ქალაქ ახალციხეში, რეალურ სამუშაო გარემოში, კოოპერაციული სწავლების ფორმით, რაც ხაზს უსვამს მის პრაქტიკულ ორიენტირებულობას. ექსპერტთა ჯგუფმა სრულად დაუჭირა მხარი პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობას, რაც 15 ადგილს შეადგენს. პროგრამის სტრუქტურა მოიცავს 123 კრედიტს ქართულენოვანი სტუდენტებისთვის, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, ქართული ენის მოდულის გათვალისწინებით, კრედიტების რაოდენობა 153-ს აღწევს. პროგრამის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 23 ივნისის დადგენილება, რაც ადასტურებს მის ლეგიტიმურობასა და შესაბამისობას ეროვნულ ჩარჩო დოკუმენტთან.
საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება განხორციელდა უნივერსიტეტში მოქმედი მეთოდოლოგიის მკაცრი დაცვით, რაც დასტურდება შრომის ბაზრის სიღრმისეული ანალიზით. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ფარმაცევტული სექტორი (კერძოდ, მსხვილი ქსელები: „ავერსი“, „პსპ“, „ჯიპისი“, „ფარმადეპო“ და „იმპექსი“) განიცდის კვალიფიციური კადრების დეფიციტს, რაც პროგრამის ინიცირების მთავარი არგუმენტი გახდა. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრული სრული ზოგადი განათლება სრულ შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ეფექტურ მიღწევას. გარდა ამისა, პროგრამაში ინტეგრირებულია არჩევითი მოდული „მზა სამკურნალწამლო ფორმები“, რომელიც ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და ამდიდრებს სტუდენტთა პროფესიულ კომპეტენციას.
პროგრამის განხორციელების რესურსული უზრუნველყოფა ექსპერტთა მიერ შეფასდა როგორც სტაბილური და ადეკვატური. თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის უნივერსიტეტს გამოყოფილი აქვს სათანადოდ აღჭურვილი აუდიტორიები, მათ შორის კომპიუტერული კლასი და აფთიაქის მოდელირებული ლაბორატორია (A/C გარემო). პრაქტიკული კომპონენტის რეალურ გარემოში რეალიზებისთვის გაფორმებულია ხელშეკრულებები პარტნიორ

ორგანიზაციებთან, კერძოდ სს „გეფასთან“ და ინდმეწარმე ლია გორელაშვილთან, რაც 15 სტუდენტის ერთდროულ მომსახურებას უზრუნველყოფს. ადამიანური რესურსის თვალსაზრისით, პროგრამაში ჩართულია 19 კვალიფიციური პირი, რომელთა დატვირთვა არ აღემატება დადგენილ ნორმებს, რაც სწავლების მდგრადობის გარანტიაა. ფინანსური კუთხით პროგრამა ეყრდნობა სახელმწიფო ვაუჩერულ დაფინანსებას, ხოლო ბიუჯეტის ანალიზმა აჩვენა, რომ პროექტი რენტაბელურია 6 სტუდენტის პირობებშიც კი.

სასწავლო პროცესის ორგანიზება და სტუდენტთა მხარდაჭერა ორიენტირებულია ინდივიდუალურ საჭიროებებზე, რაც მოიცავს ადაპტირებული სასწავლო გეგმების მექანიზმს სსსმ და შშმ პირებისთვის. ექსპერტებმა განსაკუთრებით აღნიშნეს უსაფრთხოების ნორმების დაცვა ქიმიურ ლაბორატორიაში, სადაც მოწყობილია გამწოვი სისტემები, ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და ნარჩენების უტილიზაციის გამართული წესი. პროგრამის შეფასებისა და განვითარების მექანიზმები ითვალისწინებს მუდმივ უკუკავშირს დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულებისგან, რაც საშუალებას აძლევს დაწესებულებას, ოპერატიულად მოახდინოს მოდულების მოდიფიცირება ბაზრის ცვალებადი მოთხოვნების შესაბამისად.

შეფასების სისტემის ანალიზისას გამოიკვეთა გარკვეული ხარვეზები, რის გამოც ინდიკატორი 2.4.2 შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ექსპერტთა ჯგუფმა ყურადღება გაამახვილა ვალიდაციის პროცესში ინტერესთა კონფლიქტის რისკზე, რადგან პროგრამის ხელმძღვანელი თავადვე ახორციელებს გარკვეული მოდულების შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციას. ასევე, დაფიქსირდა ტერმინოლოგიური უზუსტობები შეფასების პრინციპების (სამართლიანობა, ობიექტურობა) განმარტებისას. ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად უნივერსიტეტმა უკვე წარმოადგინა 6-თვიანი შესაბამისობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ცვლილებებს მარეგულირებელ წესში და პერსონალის დამატებით ტრენინგებს. ექსპერტთა დასკვნით, წარმოდგენილი გეგმა რეალისტურია და პროგრამა აკმაყოფილებს ავტორიზაციის სტანდარტებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „საექთნო განათლება“

მეხუთე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“ წარმოადგენს რეგიონისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან მიმართულებას, რომელიც ორიენტირებულია შრომის ბაზარზე არსებული კვალიფიციური კადრების დეფიციტის აღმოფხვრაზე. იგი ხორციელდება ახალციხეში, რუსთაველის ქ. 122ა-ში. პროგრამა ხორციელდება კოოპერაციული სწავლების ფორმით, რაც გულისხმობს თეორიული ცოდნის მიღებას უნივერსიტეტის ბაზაზე და პრაქტიკული თუ კლინიკური უნარების ათვისებას რეალურ სამუშაო გარემოში. ექსპერტთა ჯგუფმა დადებითად შეაფასა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა (28 სტუდენტი) და პროგრამის სტრუქტურა, რომელიც მოიცავს 180 კრედიტს ქართულენოვანი, ხოლო 210 კრედიტს არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის. პროგრამის ლეგიტიმურობას ადასტურებს აკადემიური საბჭოს შესაბამისი დადგენილებები, ხოლო მისი შინაარსი სრულად პასუხობს ეროვნულ ჩარჩო დოკუმენტს.

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების ეტაპზე დაწესებულებამ იხელმძღვანელა ვალიდური მეთოდოლოგიით, რაც მოიცავდა შრომის ბაზრის კომპლექსურ კვლევასა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებს. ექსპერტთა ანალიზით, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ექთნების მწვავე დეფიციტია, რაც ამ პროგრამას განსაკუთრებულ აქტუალობას ანიჭებს. მნიშვნელოვანია პროგრამის როლი ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პროცესში, რადგან იგი ითვალისწინებს სახელმწიფო ენის მოდულების სავალდებულო გავლას იმ პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები გამჭვირვალეა და სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

პროგრამის რესურსული უზრუნველყოფა ექსპერტების მიერ შეფასდა როგორც ადეკვატური და მდგრადი. თეორიული სწავლებისათვის უნივერსიტეტს გამოყოფილი აქვს სათანადოდ აღჭურვილი აუდიტორიები და სიმულაციური (A/C) გარემო, რომელიც მანეკენებითა და

თემატური რესურსებით უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების პირველად ათვისებას. კლინიკური სწავლების კომპონენტში უნივერსიტეტი თანამშრომლობს ისეთ მსხვილ პარტნიორებთან, როგორიცაა სს „ევექსის ჰოსპიტლები“, სამედიცინო ცენტრი „სიცოცხლის ხე“ და აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი. ადამიანური რესურსი დაკომპლექტებულია 26 კვალიფიციური სპეციალისტით, მათ შორის 11 პრაქტიკის ინსტრუქტორით, რაც იძლევა 1/7 პროპორციის დაცვის საშუალებას კლინიკური სწავლებისას. ფინანსური თვალსაზრისით, პროგრამა სტაბილურია და ბიუჯეტში დაფიქსირებული პროფიციტი იძლევა რესურსების განახლების შესაძლებლობას, თუმცა ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია პერსონალის პროფესიული განვითარების ხარჯების უფრო მკაფიო დეტალიზაციის შესახებ.

სასწავლო პროცესის ორგანიზება ხორციელდება პროფესიული სტუდენტის ინტერესებისა და უსაფრთხოების სტანდარტების გათვალისწინებით. სასწავლო გეგმები ლოგიკურად არის აგებული, დაცულია მოდულებს შორის წინაპირობები და სტუდენტთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. ინკლუზიური განათლების პრინციპები დაცულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების მექანიზმით, რაც სსსმ და შშმ პირებისთვის გარემოს ადაპტირებას უზრუნველყოფს. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები რეგულარულად აანალიზებს სტუდენტთა და დამსაქმებელთა უკუკავშირს, რაც საფუძვლად ედება პროგრამის შემდგომ განვითარებას.

შეფასების სისტემის კომპონენტში (ინდიკატორი 2.4.2) გამოიკვეთა მნიშვნელოვანი ხარვეზები, რის გამოც იგი „მეტწილად შესაბამისად“ შეფასდა. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ ვალიდაციის პროცესში არსებობს ინტერესთა კონფლიქტის რისკი, რადგან პროგრამის ხელმძღვანელი თავად ახორციელებს მის მიერვე მომზადებული ინსტრუმენტების ვალიდაციას. გარდა ამისა, ვერიფიკაციის პროცესი შეფასდა როგორც არასრულყოფილი, რადგან ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი ბრძანებები და რისკების სქემები, ხოლო თავად ვერიფიკაციის დასკვნა მხოლოდ ტექნიკური ხასიათის იყო. დაწესებულებამ წარმოადგინა 6-თვიანი შესაბამისობის გეგმა ამ ხარვეზების გამოსასწორებლად, რაც ექსპერტთა მიერ რეალისტურად იქნა მიჩნეული. საბოლოო დასკვნით, პროგრამა აკმაყოფილებს ავტორიზაციის სტანდარტების უმრავლესობას და ეძლევა რეკომენდაცია შეფასების სისტემის სრულყოფის მიმართულებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა– „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“

საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ არის მეოთხე დონის. იგი ხორციელდება ახალქალაქში ,აღმაშენებლის ქ. 119-ში. პროგრამა, რომელიც დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 18 მაისის №8 დადგენილებით, მიზნად ისახავს საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებას ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში. საგანმანათლებლო კურსი ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში და ითვალისწინებს სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას 40 ადგილის ოდენობით, საიდანაც ნახევარი ინტეგრირებული მოდულებისთვისაა განკუთვნილი. აღსანიშნავია პროგრამის მოქნილობა კრედიტების განაწილების კუთხით, რაც ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 87-დან 117 კრედიტამდე მერყეობს, ხოლო არაქართულენოვანი კონტინგენტისთვის, სახელმწიფო ენის ფლობის გაძლიერების მიზნით, 147 კრედიტს აღწევს.

პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების პროცესი სრულ შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან და რეგიონული განვითარების პრიორიტეტებთან. ექსპერტთა ჯგუფმა ხაზი გაუსვა ახალქალაქში პროგრამის განხორციელების სტრატეგიულ მნიშვნელობას, რაც ზრდის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას ადგილობრივი, მათ შორის ეთნიკურად სომეხი ახალგაზრდებისთვის და ხელს უწყობს მათ სამოქალაქო ინტეგრაციას სახელმწიფო ენის შესწავლის გზით. შრომის ბაზრის ანალიზი ადასტურებს ICT სექტორზე მაღალ მოთხოვნას, რაც გამოიხატება აპლიკანტთა მზარდი რაოდენობითა და კურსდამთავრებულთა დასაქმების 50%-იანი მაჩვენებლით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრული სრული ზოგადი

განათლება და ჩარიცხვის გამჭვირვალე პროცედურები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ეფექტურ მიღწევას დადგენილ ვადებში.
მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსების შეფასებისას გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტს გააჩნია სათანადოდ აღჭურვილი აუდიტორიები (A და B გარემოები) და კომპიუტერული ლაბორატორიები, რომლებიც სრულად პასუხობენ 20 სტუდენტის ერთდროული მუშაობის საჭიროებებს. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 19 კვალიფიციური პირი, მათ შორის დარგის 8 სპეციალისტი, რომელთა დატვირთვა არ აღემატება შრომის კოდექსით განსაზღვრულ ნორმებს. ფინანსური თვალსაზრისით, პროგრამა მდგრადია და ეყრდნობა ვაუჩერულ დაფინანსებას, თუმცა ექსპერტებმა გასცეს განმავითარებელი რეკომენდაცია, რათა ბიუჯეტში უფრო მკაფიოდ განისაზღვროს პერსონალის პროფესიული განვითარების ხარჯები და დადგინდეს პროგრამის რენტაბელობის ზღვარი ფინანსური რისკების უკეთ მართვისთვის.
სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება თანამედროვე მეთოდოლოგიებსა და უსაფრთხოების მკაცრ სტანდარტებს. სასწავლო გეგმები ლოგიკურად არის აგებული, რაც უზრუნველყოფს მოდულების თანმიმდევრულ ათვისებას და ითვალისწინებს სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის ადაპტირებული გეგმების შემუშავებას. დაწესებულებაში დაცულია შრომის უსაფრთხოების ნორმები, დამონტაჟებულია კვამლის დეტექტორები და ცეცხლმაქრები, რაც ქმნის დაცულ გარემოს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მეცადინეობებისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები რეგულარულად აანალიზებს დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს პროგრამის მუდმივი სრულყოფისთვის.
შეფასების სისტემის კომპონენტში (ინდიკატორი 2.4.2) გამოიკვეთა არსებითი ხარვეზები, რის გამოც იგი „მეტწილად შესაბამისად“ შეფასდა. ექსპერტებმა აღნიშნეს ვალიდაციის პროცესში ინტერესთა კონფლიქტის რისკი და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შეფასების ინსტრუმენტების არაადეკვატურობა; კერძოდ, პრაქტიკული დავალებების ნაცვლად გამოყენებული იყო წერილობითი ტესტები, რაც ეწინააღმდეგება მოდულის სტანდარტს. ასევე, ვერიფიკაციის პროცესი შეფასდა როგორც არასრულყოფილი, რადგან ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი გეგმები და რისკების სქემები. დაწესებულებამ წარმოადგინა 6-თვიანი გამოსწორების გეგმა, რომელიც აკადემიური საბჭოს მიერაა დამტკიცებული და ექსპერტთა აზრით, რეალისტურ შესაძლებლობას იძლევა აღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა– „ბუღალტრული აღრიცხვა“
მეხუთე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ წარმოადგენს რეგიონული და სახელმწიფოებრივი პრიორიტეტების შესაბამის საგანმანათლებლო პროდუქტს, რომლის მიზანია კვალიფიციური კადრების მომზადება საფინანსო სექტორისთვის. პროგრამა ხორციელდება ორ ლოკაციაზე – ქალაქ ახალციხესა და ქალაქ ახალქალაქში, რაც მნიშვნელოვნად ზრდის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას მრავალეთნიკური მოსახლეობისთვის. ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად შეისწავლა პროგრამაზე მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, რაც ახალციხის შემთხვევაში 15, ხოლო ახალქალაქის მისამართზე 40 ადგილს შეადგენს. პროგრამის სამართლებრივი საფუძველი გამყარებულია აკადემიური საბჭოს 2025 წლის 7 ნოემბრის №1557351 დადგენილებით, რაც ადასტურებს მის შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან და ეროვნულ ჩარჩო დოკუმენტთან.
პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება ეფუძნება უნივერსიტეტში დანერგილ ვალიდურ მეთოდოლოგიას, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა შრომის ბაზრის კომპლექსური ანალიზი, მათ შორის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2025 წლის კვლევის მონაცემების გათვალისწინებით. ექსპერტთა დასკვნით, პროგრამა სრულ თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასთან, რომელიც ორიენტირებულია სწავლისა და კვლევის გზით საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანაზე. ჩარიცხვის პროცედურები, რომელიც შეფასებისა და

გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებას ეყრდნობა, უზრუნველყოფს სწავლის მსურველთა წინარე ცოდნისა და უნარების ობიექტურ შეფასებას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო არაქართულენოვანი სტუდენტების ინტეგრაციის მექანიზმებს, რაც სახელმწიფო ენის მოდულის სავალდებულო სწავლებასა და კრედიტების შესაბამის განაწილებაში გამოიხატება.
რესურსული უზრუნველყოფის კუთხით, პროგრამა აღჭურვილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, მათ შორის კომპიუტერული ლაბორატორიებით, სადაც დაინსტალირებულია საბუღალტრო პროგრამების სასწავლო ვერსიები. ახალციხის მისამართზე სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია 15, ხოლო ახალქალაქში 21 სამუშაო ადგილი, რაც სრულად პასუხობს გამოცხადებულ კვოტებს. ადამიანური რესურსი დაკომპლექტებულია 12-დან 13-მდე კვალიფიციური პედაგოგით, რომელთა შორის უმრავლესობა მოქმედი პრაქტიკოსი ბუღალტერია. ფინანსური მდგრადობა გარანტირებულია სახელმწიფო ვაუჩერული დაფინანსებით, თუმცა ექსპერტებმა გასცეს განმავითარებელი რეკომენდაცია ბიუჯეტში პერსონალის პროფესიული განვითარებისა და სტუდენტთა მოტივაციური აქტივობებისთვის საჭირო ხარჯების უფრო მკაფიო დეტალიზაციის შესახებ.
სასწავლო პროცესის ორგანიზება ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომით, რაც გულისხმობს სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებას და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას. პროგრამა ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, სადაც სწავლება ეფუძნება რეალურ ქეისებსა და პრაქტიკულ სავარჯიშოებს. დაწესებულებაში დაცულია უსაფრთხოების ნორმები, არსებობს შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციები და სათანადო ინფრასტრუქტურა. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები რეგულარულად აანალიზებს დაინტერესებული მხარეების, მათ შორის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების უკუკავშირს, რაც საფუძვლად ედება პროგრამის მუდმივ განახლებასა და განვითარებას.
ექსპერტთა ჯგუფმა სტანდარტთან შეუსაბამობა დააფიქსირა შეფასების სისტემის ნაწილში (ინდიკატორი 2.4.2), რის გამოც იგი „მეტწილად შესაბამისად“ შეფასდა. გამოიკვეთა, რომ ვალიდაციის პროცედურა არ გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს, რადგან პროგრამის ხელმძღვანელი თავადვე ახორციელებს საკუთარი ინსტრუმენტების ვალიდაციას. გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი შეფასების ინსტრუმენტი არ იყო ვალიდური – პრაქტიკული დავალებების ნაცვლად გამოყენებული იყო ტესტური და წერილობითი გამოკითხვები. ვერიფიკაციის პროცესი ასევე შეფასდა როგორც არასრულყოფილი, დოკუმენტური მტკიცებულებების ნაკლებობის გამო. ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად უნივერსიტეტმა წარმოადგინა 6-თვიანი შესაბამისობის გეგმა.

ელენე კაკაბაძემ ითხოვა განმარტება იმის თაობაზე, თუ რა სამართლებრივი საფუძვლით დაეყრდნო ექსპერტთა ჯგუფი 2026 წლის 8 იანვრით დათარიღებულ კორექტირებულ შესაბამისობის გეგმას, რომელიც არ არსებობდა არც საავტორიზაციო ვიზიტის და არც არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის ეტაპზე. თავმჯდომარემ დააფიქსირა პოზიცია, რომ ვიზიტის შემდგომ შექმნილი ახალი დოკუმენტის საფუძველზე შეფასების რადიკალური ცვლილება (შეუსაბამობიდან მეტწილ შესაბამისობამდე) შესაძლოა არღვევდეს წარმოების ობიექტურობასა და თანასწორობის პრინციპს სხვა დაწესებულებებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო თამაზაშვილმა განმარტა, რომ არგუმენტირებული პოზიციის ეტაპზე დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც დაშვებული იყო ტექნიკური ხარვეზი. მისი თქმით, არსებული პრაქტიკის თანახმად, თუ დაწესებულების მიერ შემოთავაზებული გეგმა რეალისტური და დროში განხორციელებადია, ექსპერტთა ჯგუფს უფლება აქვს, გაიზიაროს იგი და შეცვალოს შეფასება იმ ინდიკატორებში, სადაც კანონმდებლობა სრულ შესაბამისობას არ მოითხოვს. მან დაადასტურა, რომ ჯგუფმა შეფასება სწორედ აღნიშნული კორექტირებული გეგმის საფუძველზე შეცვალა.

ელენე კაკაბაძემ ტერმინ „ტექნიკური ხარვეზის“ გამოყენების მართებულობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ვადების, პასუხისმგებელი პირების ან აქტივობების ცვლილება შინაარსობრივ ცვლილებას წარმოადგენს და არა ტექნიკურს. მან მოითხოვა დაზუსტება, თუ კონკრეტულად რაში მდგომარეობდა გასწორებული ხარვეზი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ხარვეზი ეხებოდა მე-4 სტანდარტის 4.1.2 და 4.1.3 კომპონენტებს. ვინაიდან ორივე კომპონენტი პერსონალის კვალიფიკაციასა და მოძიებას უკავშირდებოდა, დაწესებულებამ ისინი თავდაპირველ გეგმაში ერთ სივრცეში გააერთიანა, იდენტური ვადებითა (6 თვე) და პასუხისმგებელი პირებით. წარმომადგენლის თქმით, ტექნიკური ხარვეზის გასწორება გულისხმობდა მხოლოდ ამ ორი კომპონენტის გამიჯვნას ცალკეულ ველებად, ყოველგვარი შინაარსობრივი, ვადიანი ან პერსონალური ცვლილებების გარეშე. მან ასევე დააზუსტა, რომ პირველადი დოკუმენტის გაგზავნასა (დეკემბერი) და კორექტირებული ვერსიის წარმოდგენას (8 იანვარი) შორის დროის გასვლა განპირობებული იყო საახალწლო არდადეგებით.

საბჭოს წევრმა, გოჩა გოგიტიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ დოკუმენტბრუნვის სიცხადისთვის, სასურველი იყო 8 იანვრის წერილში მკაფიოდ ყოფილიყო მითითებული, რომ იგი წარმოადგენდა წინა წერილის დამატებას. ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ელექტრონულ სისტემაში (e-flow) საფუძვლად მითითებულია წინა წერილის ნომერი, თუმცა საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებისთვის მიწოდებულ მასალებში აღნიშნული კავშირი ნათლად არ იკვეთებოდა, რამაც გამოიწვია ბუნდოვანება.
ელენე კაკაბაძემ დააფიქსირა, რომ მისთვის გაუმჯობესების გეგმის ხანგრძლივი ვადით კორექტირების პროცესი და დოკუმენტბრუნვის ფორმატი კვლავ ტოვებს გარკვეულ კითხვის ნიშნებს წარმოების სამართლიანობასთან დაკავშირებით.

ნათია ბუთხუზმა, ყურადღება გაამახვილა წარმოდგენილ დასკვნასა და მასალებზე. მან დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, თუ რა პრინციპით იხელმძღვანელეს ავტორიზაციის მომზადების პროცესში და რატომ არ მოხდა დადგენილ სტანდარტებთან წინასწარი შესაბამისობის უზრუნველყოფა. იგი ასევე დაინტერესდა ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ პერიოდში (4 ნოემბრიდან დღემდე) განხორციელებული აქტივობებითა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ხარისხით არსებული ხარვეზების ფონზე.
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, განმარტა, რომ დაწესებულება სრულად აცნობიერებს აღებულ პასუხისმგებლობას და მიზნად ისახავს სტანდარტებთან სრულ შესაბამისობას. მისი განცხადებით, ექსპერტთა ვიზიტი დაემთხვა გარდამავალ პერიოდს, როდესაც სრულდებოდა 2025 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა და მიმდინარეობდა 2026 წლის ახალი გეგმის შემუშავება. წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ ვიზიტამდე დამტკიცდა ახალი საშტატო განრიგი, რომლის უმთავრესი პრიორიტეტი სწორედ პროფესიული განათლების მიმართულების გაძლიერება იყო. კერძოდ, შეიქმნა პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების დეპარტამენტი, დაემატა სპეციალიზებული შტატები ხარისხის უზრუნველყოფის, კარიერული დაგეგმვის, რეესტრის წარმოების, იურიდიული, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ინფრასტრუქტურის მართვის მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, მიუთითა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებულ მრავალრიცხოვან შეუსაბამობებსა და რეკომენდაციებზე, რომლებიც ეხებოდა ადამიანურ რესურსებს, პროგრამულ ნაწილსა და უსაფრთხოების ნორმებს. თავმჯდომარემ კრიტიკულად შეაფასა დაწესებულების მიდგომა, როდესაც საავტორიზაციო განაცხადში სტატუსი მითითებული იყო როგორც „შესაბამისი“, მიუხედავად რეალური ხარვეზებისა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო თამაზაშვილმა, აღნიშნა, რომ ჯგუფმა შეისწავლა შეუსაბამობების გამომწვევი მიზეზები. ექსპერტის განმარტებით, პრობლემა იკვეთებოდა საუნივერსიტეტო მართვასა და პროფესიული პროგრამების მართვას შორის არსებულ არასაკმარის კომუნიკაციაში. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ უნივერსიტეტი იზიარებს ექსპერტთა ყველა შენიშვნას, გამოხატავს მზაობას თანამშრომლობისთვის და უკვე გადადგა ნაბიჯები გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად.

ელენე კაკაბაძემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს კითხვით, უქმნიდა თუ არა საფრთხეს სასწავლო პროცესს პროგრამულ და ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებული შეუსაბამობები გეგმის წარმოდგენამდე. ნინო თამაზაშვილმა განმარტა, რომ ექსპერტებმა ეს საკითხი განიხილეს და მიიჩნიეს, რომ არსებული პრობლემები პროფესიულ სტუდენტებს არ აზარალებდა. მისი თქმით, სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა ცხრილებისა და გეგმების შესაბამისად, მასწავლებელთა კვალიფიკაცია და ჩართულობა დამაკმაყოფილებელი იყო, ხოლო სტუდენტები აფიქსირებდნენ კმაყოფილებას და აჩვენებდნენ საკვანძო საკითხების კარგ ცოდნას. თუმცა, ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ ვერიფიკაციისა და ვალიდაციის პროცესებში გამოვლინდა რიგი ხარვეზები. კერძოდ, დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც შეფასების ინსტრუმენტები არ შეესაბამებოდა შეფასების მიმართულებას (მაგ: პრაქტიკული დავალების ნაცვლად გამოიყენებოდა ტესტირება).
ნათია ბუთხუზმა და გოჩა გოგიტიძემ ეჭვქვეშ დააყენეს სტუდენტთა კმაყოფილების არგუმენტი და აღნიშნეს, რომ სტუდენტმა შესაძლოა ვერ შეაფასოს ვალიდაციის პროცესის სისწორე. მათ ასევე იკითხეს, თუ როგორ გადიოდა სტუდენტი შედეგზე, როდესაც შეფასების ინსტრუმენტი შეცვლილი იყო. ნინო თამაზაშვილმა დაადასტურა, რომ რამდენიმე მოდულში შეფასების ინსტრუმენტი მართლაც შეცვლილი იყო, თუმცა ეს არ ატარებდა საყოველთაო ხასიათს და სხვა მოდულებში პროცესი სწორად მიმდინარეობდა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საშტატო განრიგის დამტკიცებამდე, ადამიანები დასაქმებულნი იყვნენ სახელშეკრულებო პირობებით. სასწავლო პროცესი სრულად მიმდინარეობდა, თუმცა ხარვეზი მდგომარეობდა ფუნქცია-მოვალეობების დოკუმენტურ გაწერაში. წარმომადგენლის განმარტებით, პრაქტიკული დავალება სტუდენტებმა კომპიუტერში შეასრულეს, ხოლო ტესტი პედაგოგმა გამოიყენა დამატებითი მექანიზმის სახით თეორიული ცოდნის შესამოწმებლად. მისი თქმით, ტესტირების დამატება ზედმეტი იყო, თუმცა ხაზი გაუსვა, რომ პრაქტიკული დავალება არ ჩანაცვლებულა ტესტით და შესაბამისად, მიმართულება არ შეცვლილა.

ელენე კაკაბაძემ შენიშვნა მისცა დაწესებულებას, რომ თუ რეალობა ექსპერტთა მიგნებებისგან განსხვავდებოდა, უნივერსიტეტს ეს არგუმენტირებულ პოზიციაში უნდა დაეფიქსირებინა მტკიცებულებებთან ერთად, ნაცვლად იმისა, რომ სრულად დასთანხმებოდა რეკომენდაციებს და გაუმჯობესების გეგმა შეემუშავებინა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცადებით, უნივერსიტეტმა გადაწყვიტა აეღო პასუხისმგებლობა, 6-თვიან ვადაში გადაემოწმებინა ყველა ტესტი და პედაგოგი და პროცესი სიღრმისეულად გამოესწორებინა, რათა მსგავსი პრეცედენტი აღარ განმეორებულიყო.

ნათია ბუთხუზი დაინტერესდა, თუ რატომ ითხოვა დაწესებულებამ 6 თვე მეთოდოლოგიაში ცვლილების შესატანად. ექსპერტმა განმარტა, რომ ეს ვადა ასევე მოიცავდა მასწავლებელთა ტრენინგს განახლებული მეთოდოლოგიით.

ელენე კაკაბაძემ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა შეაფასა როგორც სრულიად ფორმალური დოკუმენტი. მისი თქმით, დაწესებულებამ ყველა ხარვეზის

გამოსასწორებლად შაბლონურად მიუთითა 6 თვე მხოლოდ იმ მიზნით, რომ შეფასება „მეტწილ შესაბამისობაში“ გადასულიყო (რადგან 6 თვეზე მეტი ვადა „ნაწილობრივ შესაბამისობას“ ნიშნავს). დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მაქსიმალური 6-თვიანი ვადის აღება მიზნად ისახავდა არა ფორმალობას, არამედ საუკეთესო პრაქტიკების შესწავლას და პროცესის სიღრმისეულ გააზრებას. ელენე კაკაბაძემ არ გაიზიარა ეს არგუმენტი და აღნიშნა, რომ რეალური დაგეგმვის შემთხვევაში, თითოეულ აქტივობას ინდივიდუალური, გონივრული ვადა (მაგალითად, 2 კვირა ან 1 თვე) უნდა ჰქონოდა მინიჭებული.

საბჭოს თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა ახალქალაქის ლოკაციაზე სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულების მიერ წარმოდგენილ 15-თვიან შესაბამისობის გეგმაზე. მან კატეგორიულად მიუღებლად მიიჩნია აღნიშნული ვადით უსაფრთხოების ნორმების მხოლოდ „ნაწილობრივ შესაბამისად“ შეფასება, რადგან ეს 15 თვის განმავლობაში სტუდენტებისა და პერსონალის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას რისკის ქვეშ აყენებს. ელენე კაკაბაძემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს და მოსთხოვა განმარტება, თუ რის საფუძველზე აიღეს პასუხისმგებლობა და გასცეს თანხმობა სასწავლო პროცესის იმ შენობაში მიმდინარეობაზე, სადაც ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებთან დაკავშირებული პრობლემები სრულად არ იყო აღმოფხვრილი.

ექსპერტმა, ნინო თამაზაშვილმა განმარტა, რომ საავტორიზაციო ვიზიტის ფარგლებში იდენტიფიცირებული პრობლემა უკავშირდებოდა მხოლოდ ჰიდრანტიდან წნევის მიწოდების სისუსტეს. ექსპერტთა ჯგუფმა საკითხის დეტალურად გავლის შემდეგ მიიჩნია, რომ ეს არ იყო ფუნდამენტურად გადაუჭრელი პრობლემა. მათი ვარაუდით, დაწესებულებამ მაქსიმალური ვადა პრობლემის მოსაგვარებლად აიღო. სწორედ ამ გარემოებაზე დაყრდნობით დაეთანხმა ჯგუფი დაწესებულების გაუმჯობესების გეგმას.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო – 15:55
დასრულების დრო – 16:45

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 1

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა: სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს(ს/კ: 424066977) ავტორიზაციის ვადით

მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსმიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები **(დანართი 7). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 16 თებერვალი.**

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა, ნანი დალაქიშვილმა გადაწყვეტილების ამოქმედების თარიღთან დაკავშირებული განმარტა, რომ გადაწყვეტილების ამოქმედების ვადად 16 თებერვალი განისაზღვრა იმ მიზეზით, რომ უნივერსიტეტს ავტორიზაცია სწორედ 16 თებერვლის თარიღით მიენიჭა. თარიღების სინქრონიზაცია უზრუნველყოფს პროფესიული პროგრამების სტუდენტებისთვის სწავლის უწყვეტობას და თავიდან აარიდებს მათ სტატუსის რამდენიმე დღით შეჩერების ტექნიკურ აუცილებლობას.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მე-2 (2.4.2.1; 2.4.2.2; 2.4.2.3; 2.4.2.4 კომპონენტები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე: კომპიუტერული ქსელი და სისტემები, ბუღალტრული აღრიცხვა, საექთნო განათლება, ფარმაცია (სააფთიაქო)), მე-4 (4.1.1.1; 4.1.1.2; 4.1.1.3 კომპონენტები) და მე-5 (5.1.2.1, 5.1.2.2 კომპონენტები) სტანდარტებში. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი. მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 14 ივლისი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 16:55 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	იატაკისა და ფილის სამუშაოები
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	გორი, ბესიკის ქ. N2 გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხიდისთავი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	72
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	81
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	96

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	სამშენებლო სამღებრო სამუშაოები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სამშენებლო სამღებრო სამუშაოებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	გორი, ბესიკის ქ. N2 გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხიდისთავი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	36
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	სანტექნიკური სამუშაოების შესრულება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სანტექნიკური სამუშაოების შესრულებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	გორი, ბესიკის ქ. N2 გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხიდისთავი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	72
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	82

დანართი 4

პროგრამის სახელწოდება	შედუღება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0715
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	გორი, ზესიკის ქ. N2 გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხიდისთავი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	36
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117

დანართი 5

პროგრამის სახელწოდება	ხის მხატვრული დამუშავება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ხის მხატვრულ დამუშავებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0214
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	გორი, ზესიკის ქ. N2 გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხიდისთავი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	36
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	86
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116

დანართი 6

პროგრამის სახელწოდება	ელექტროობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	გორი, ბესიკის ქ. N2 გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხიდისთავი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	72
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	66
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	81

დანართი 7

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ახალციხე. რუსთაველის ქ 122ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	153

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ 122ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	28
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ახალქალაქი, აღმაშენებლის ქ 119
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	20
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	147
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. 122
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ახალქალაქი, აღმაშენებლის ქ. 119
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129

ინფორმაცია იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში

პროგრამის სახელწოდება	სატყეო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სატყეო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0821
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ახალქალაქი, აღმაშენებლის ქ 119
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროფესიულ სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა	10
პროფესიულ სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე დაფიქსირებული საერთო ფაქტობრივი რაოდენობის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	101
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	48
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	131
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	78

პროგრამის სახელწოდება	ელექტროობა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ახალქალაქი, აღმაშენებლის ქ 119
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროფესიულ სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა	11
პროფესიულ სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე დაფიქსირებული საერთო ფაქტობრივი რაოდენობის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	127
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	157
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	100

პროგრამის სახელწოდება	საბაჟო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1032
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ახალქალაქი, აღმაშენებლის ქ 119
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროფესიულ სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა	13
პროფესიულ სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე დაფიქსირებული საერთო ფაქტობრივი რაოდენობის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	93
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123